28 დეკემბერი 2017
ფასი 1 ლარი 70 თეთრი

ახალი განათლება

№40 (794) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

საახალწლოდ

აი ესეც ახალი წელიწადი და არ ვიცით რა მოგილოცოთ: წასვლა ძველისა, თუ მოსვლა ახლისა. ან ერთში რა ყრია, ან მეორეში, ვერ გამოგვიცვნია. წასვლა ძველისა თავის-თავად ბევრი არაფერი სასიხარულოა. პირიქით, სანაღვლელი უფროა. ჯერ იმიტომ, რომ კარგი იყო თუ ავი, მაინც შეჩვეული ჭირი იყო და შეჩვეული ჭირი ხომ ზოგჯერ ქართველისათვის შეუჩვეველ ლხინსა სჯობია. მეორე იმიტომ, რომ ძველი წელიწადი წავიდა და სასიცოცხლოდ მოთვლილ დღეთაგან თვითოეულს ჩვენგანს მოაკლდა მთელი სამას სამოცდახუთი დღე და სამას სამოცდა ხუთი დღით ახლო მიუვედით იმ აუცილებელს სადგურს, საცა შესვლაა და გამოსვლა აღარა. ნუთუ ეს მისალოცველია და სასიხარულო... ხუმრობაა, მთელი სამასსამოცდახუთი თორმეტ-საათიანი დღე და მთელი სამასსამოცდახუთი თორმეტი საათიანივე ღამე... წავიდა და დაილუპა ეს ამოდენა დღე და ღამე, ეს ამოდენა დრო და ჟამი იქ, საცა სიცოცხლე უამისოდაც წუთია. დროთა ბრუნვამ რომ ეს ამოდენა ღალა წაართვა ჩვენს სიცოცხლესა, სამაგიეროდ რა ნუგეში მოგვცა, რა გვათესინა, რა მოგვამკევინა, რა დაგვამუნათა? რომ გვეთქმოდეს – ბევრი არაფერიო, ცოტა მაინც საგულვებელი გვექნებოდა. საქმე ის არის, რომ სულ არაფერი მოუცია, და ეს რა ნუგეშია. მიდიან დღენი, მიდიან წელნი და ჩვენ ისევ ისე პირდაღებულნი ვართ, ისევ ისე ხელცარიელნი, როგორც ვყოფილვართ, და ვიძახით: სად წავიდეთ, ვის შევჩივლოთ, ვის ვუთხრათ, ვინ განგვიღებს დახშულ კარებს ბედისას?

ბედის კარის გაღებას ვინ სჩივის. ეს ის ძეხვია ჩვენთვის, რომელსაც მშიერი კატა ვერ შესწვდა და თავი იმით ინუგეშა, რომ პარასკევიაო. ჩვენთვის ისიც დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ უბედურების კარის დახურვას და შიგნიდან ჩაკეტას მაინც ვღირსებოდით. ეს რომ მაინც ეწყალობებინა ძველს წელიწადს, კიდევ ღმერთს მადლობას ვეტყოდით და არ დავინანებდით ამისთვის იმ ძვირფას საფასურის გაცემას, რომელსაც დღენი სიცოცხლისანი ჰქვიან, და რომელიც მით უფრო ძნელი გასამეტებელია, რომ ჩვენდა დაუკითხავად მიდის და აღარ ბრუნდება უკან. სხვა ყველა გაცემული ისევ ხელახლად მოიხვეჭება და სიცოცხლის წარსული დღენი-კი აღარა. ვაი ფუჭად განვლილს სამას სამოცდა ხუთს დღეს და ღამეს. ჩვენს სიცოცხლეს ეს ამოდენა ხანი მოაკლდა და ერთის ბეწვის ოდენაც-კი არა შეგვმატნია რა. უნდა ვტიროდეთ და არ გვიხაროდეს კი, რომ ესე უგემურად, ურგებად დღენი ჩვენნი დავლიეთ. აქ სინანულს უფრო მეტი ადგილი აქვს, ვიდრე სიხარულს, გლოვას და სამძიმარს, ვიდრე მხიარულებასა და მილოცვ-მოლოცვას.

სინანულიც კაი საქმეა, კაი საქონელია, თუ მართლა საგონებელში რაშიმე ჩაგვაგდო და ნამუსი და სინდისი თავისის უტყუარის სასწორით ხელში კარზე მოგვაყენა ჩვენდა განსაკითხავად. განკითხვა თავისის თავისა ბევრს მიზეზს დაგვანახვებდა ჩვენის უბედურებისას და ქარისაგან მოტანილს სიხარულს ძველის წასვლისას და ახალის მოსვლისას ქარსავე გაატანდა, მაგრამ სად არის. სინანულისა და განკითხვისათვის აღარც გული გვაქვს გულის ადგილას და აღარც ჭკუა ჭკუის ადგილას და ვიძახით წარამარად „დრონი მეფობენო“, მაშინ, დრო მხოლოდ იგი ქვევრია, რომელიც მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც თვითონ კაცი ჩასძახებს.

ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო, ერთმანეთისათვის ვნატრულობთ ხოლმე, როცა-კი ახალი წელიწადი კარს დაგვირაკუნებს. რა დიდად სანატრელი რამ არის ეს დაბერება. დაბერებიდან ერთი ფეხის გადადგმაღაა სიკვდილამდე. და რაკი ამაზე მიდგება საქმე, მაშინ ყოველისფერი მწარეა. ან თვითონ სიბერე თავის-თავად მწარეზე უმწარესი არ არის განა? თუ ესეა, აბა ეხლა თარგმნეთ, რას ნიშნავს ტკბილად დაბერება? აშკარაა, ტკბილად დამწარებას და ნუთუ ამაზე უკეთესი სანატრელი აღარა გაგვაჩნია-რა. ამაზე უკეთესი სანატრელი ველარა გვიპოვია-რა. ნატვრის უნარიც კი დაგვკარგვია, მოდი და წყალი ნუ წაგიღებს ამისთანას. სხვა რა გზაა?

სხვა გზა ის არის, რომ ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისთვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალს წელიწადს იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიმხნეოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ „მხნე იყავ და განძლიერდი“ – აი ჩვენი საახალწლო მოლოცვა, ჩვენი საახალწლო ნატვრა.

ილია ჭავჭავაძე

CMYK

2018 — სიახლეები

პროფესიონალიზმის გარეშე სისტემის განვითარება შეუძლებელი იქნება

მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში მიმდინარე საკომიტეტო მოსმენაზე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი** ვრცელი სიტყვით წარდგა და სისტემაში დაგეგმილ ცვლილებებზე ისაუბრა. პირველ რიგში, ყურადღება გაამახვილა განათლების ყველა დონეზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის აუცილებლობაზე და განათლების სისტემის განვითარების უმთავრეს ამოცანად, განათლების ხარისხის ამაღლება, მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და განათლების თითოეულ დონეზე ინკლუზიის უზრუნველყოფა დაასახელა: *„ბუნებრივია, აღმზრდელების, მასწავლებლების, პროფესორების, განათლების სფეროში დასაქმებული სხვა ადამიანების პროფესიონალიზმის გარეშე, სისტემის განვითარება შეუძლებელი იქნება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება პედაგოგისა და მეცნიერის პრესტიჟის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები, ხარისხის სტანდარტების განვითარება და ინტერნაციონალიზაცია. ხარისხიანი განათლების მიღების აუცილებელი პირობა განათლების უწყვეტობაა, ამიტომ, სკოლამდელი განათლების განვითარებისთვის, ეროვნულ დონეზე, უნდა შეიქმნას საგანმანათლებლო და პროფესიული სტანდარტები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ამ სტანდარტების დანერგვის პროცესში, ხარისხის მონიტორინგის წამყვანი სტრუქტურა იქნება.“*

ქალაქისა და სოფლის სკოლებს შორის, ზოგადი განათლების კუთხით არსებული პრობლემების დასაძლევად, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება სოფლის სკოლების საგანმანათლებლო ცენტრებად გარდაქმნაზე, რაც საბავშვო ბაღს, სკოლას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ბიბლიოთეკას, სპორტულ და შემოქმედებით კლუბებს გააერთიანებს. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში განსაკუთრებული ყურადღება სახელმწიფო ენის შესწავლას დაეთმობა და მოზარდებთან ერთად, საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობა ზრდასრულ მოსახლეობასაც შეეძლება.

ძალადობისა და აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფოსა და ოჯახის ურთიერთანამშრომლობაზე საუბრისას მიხეილ ჩხენკელმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ სკოლებში ბულინგთან და ყველა სახის ძალადობასთან ბრძოლა სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია და ამ მიმართულებით, ფართომასშტაბიანი კამპანია უკვე დაწყებულია. *„მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდება სასკოლო-საგანმანათლებლო და სპორტული ინფრასრუქტურის განვითარებასა და სკოლების მშენებლობაში. ხარისხის ამაღლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და განვითარებისთვის ხელსაყრელი, უსაფრთხო და შემოქმედებითი გარემოს ფორმირებას გულისხმობს. განათლების მინისტრად დანიშვნისთანავე, ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოვაცხადე სკოლებში ბულინგთან და ყველანაირ ძალადობასთან შეურიგებელი ბრძოლა. დავიწყეთ ბულინგისა და ძალადობის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი კამპანია, დარგის სპეციალისტების და კვალიფიციური ფსიქოლოგების მონაწილეობით. ჩვენი ფსიქოლოგები აქტიურად მუშაობენ სკოლებში, სისტემაში ფსიქოლოგიური სერვისები კიდევ უფრო გაძლიერდება. ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი იქნება გამოცდილი და გულისხმიერი სპეციალისტის დახმარება. ჩვენი მიზანია არა მხოლოდ ძალადობის გამოვლენაზე რეაგირება, არამედ, პირველ რიგში, მისი პრევენცია. იმისთვის, რომ აღვკვეთოთ ძალადობა და ბულინგი, მოსწავლეებს, მასწავლებლებს და მშობლებს უნდა ჰქონდეთ სათანადო ცოდნა. დაგეგმილი საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, მათ მიეწოდებათ ამომწურავი განმარტებები და რეკომენდაციები. ძალადობისა და აგრესიის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში სახელმწიფო და ოჯახი გვერდიგვერდ უნდა იდგნენ. მოზარდებისთვის, სკოლაში თუ სკოლის მიღმა, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაზე ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ.*

პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია უწყვეტი დიალოგი თავად მოზარდებთან. უკვე დავიწყეთ მოსწავლეებთან შეხვედრების ციკლი „მოვუსმინოთ მოსწავლეებს“. გვჯერა, რომ მათი მონაწილეობა არსებითია პრობლემების უფრო კარგად დასანახად და ძალადობისა და ბულინგის დასამარცხებლად.“

სასიამოვნო სიახლეა მასწავლებლებისთვის – 2018 წლიდან წამყვანი და მენტორი მასწავლებლების დანამატები გაიზრდება, რაც უდავოდ აამაღლებს პროფესიული განვითარების მოტივაციას. მინისტრი მიიჩნევს, რომ განათლების პროცესში უმთავრესი როლი პედაგოგს აკისრია. შესაბამისად, მათთვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად ყველა პირობა შეიქმნება და ორიენტირებული იქნება არა მხოლოდ თეორიაზე, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე. *„მინიმუმამდე დავიყვანთ ბიუროკრატიულ პროცედურებს, რომ მასწავლებლებმა დრო მთლიანად პროფესიულ განვითარებას დაუთმონ. ამავდროულად, უწყვეტ რეჟიმში და კომპლექსურად, განხორციელდება პედაგოგთა კვალიფიკაციის მონიტორინგი, დაიხვეწება შიდა და გარე შეფასების მექანიზმები, რომელთა მიზანია საუკეთესოთა გამოვლენა და სათანადო დაფასება.“*

ბავშვებისა და მოზარდების სპორტით დაინტერესებაზე საუბრისას განათლების მინისტრმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ბავშვებმა და მოზარდებმა ენერგია განათლებაში, შემოქმედებით აქტივობასა და სპორტში დახარჯონ. *„კულტურის მინისტრთან ერთად, ჯანსაღი ცხოვრების მხარდასაჭერად, უკვე გამოვაცხადეთ მასშტაბური კამპანიის ინიციატივა, რომელიც, 2018 წლის იანვრიდან, ყველა სკოლას მოიცავს. სპორტულ შეჯიბრებებში, სურვილისა და ინტერესების შესაბამისად, ყველა ასაკის მოსწავლეები ჩაერთვებიან.*

მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდება სასკოლო-საგანმანათლებლო და სპორტული ინფრასრუქტურის განვითარებასა და სკოლების მშენებლობაში. ხარისხის ამაღლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და განვითარებისთვის ხელსაყრელი, უსაფრთხო და შემოქმედებითი გარემოს ფორმირებას გულისხმობს.“

ითქვა ისიც, რომ, სასწავლო პროცესში, სასკოლო განათლების დონეზე, უმაღლესი რანგის პროფესიონალები, მეცნიერები და მკვლევრები ჩაერთვებიან. მოზარდებში მეცნიერებისადმი ინტერესის გასაღრმავებლად, კრიტიკული აზროვნების გასავითარებლად და სწავლის შემდეგი ეტაპებისთვის შესამზადებლად, გაძლიერდება სკოლასა და უნივერსიტეტებს შორის კავშირი: *„პროექტ „ევრიკას“ ფარგლებში, სხვადასხვა დარგის ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები ონლაინ გაკვეთილებს ჩაატარებენ. დისტანციურ სწავლებაზე წვდომა ექნება საქართველოს ყველა საჯარო და კერძო სკოლას. სწავლების ეს ციკლი, შესაბამისი საგნების პედაგოგებსაც მისცემს პროფესიული განვითარების საშუალებას.“*

მიხეილ ჩხენკელმა ინკლუზიური განათლების აუცილებლობაზეც ისაუბრა, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების განვითარების ინტერესებთან: *„უკვე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ზოგადი და პროფესიული განათლების საფეხურზე ინკლუზიური სწავლების განვითარებისთვის. თუმცა, კვლავ არაერთი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. მათზე საპასუხოდ, საკანონმდებლო დონეზე, მოვაწესრიგებთ და განვავითარებთ სპეციალური მასწავლებლის პროფესიას, გავაძლიერებთ უნივერსიტეტებში სპეციალური განათლების მასწავლებლების მომზადებას. ასევე, გადავხედავთ დაფინანსების მოდელს და განვახორციელებთ აუცილებელ ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებს.“*

რაც შეეხება უმაღლესი განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას, ამ მიმართულებით კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება: *„განხორციელდება უნივერსიტეტების არაგეგმიური შემოწმება და ავტორიზაციის სტანდარტების შეუსაბამობა, უმაღლესებისთვის, სტუდენტთა მიღების შეჩერების საბაბი გახდება.*

ამოქმედდება ევროპის საბჭოს უმაღლესი განათლების სტანდარტებთან თავსებადი მოდელი. მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით კი, შემუშავდება უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი, გაცილებით ეფექტური მექანიზმი.

დიდი ყურადღება დაეთმობა დისტანციური სწავლების დანერგვას, რაც გულისხმობს როგორც უცხოელი პროფესორების რესურსის გამოყენებას, ასევე შესაძლებლობას საზღვარგარეთ ქართველმა პროფესორებმაც წაიკითხონ ონლაინ ლექციები.“

პროფესიულ განათლებაზე საუბრისას, მიხეილ ჩხენკელმა ყურადღება გაამახვილა თითოეული მოქალაქის კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ახალი პროფესიის დასაუფლებლად სათანადო პირობების შექმნაზე, ამასთანავე, პროფესიული განათლების კონკრეტული რეგიონის ეკონომიკურ საჭიროებაზე მორგებასა და დუალურ, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების გაგრძელებაზე. ახლო მომავალში განვითარდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გაიზრდება გეოგრაფიული დაფარვა.

„აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების და საქართველოს მთავრობებს შორის ხელმოწერილი ათასწლეულის გამოწვევის მეორე კომპაქტის ფარგლებში, უკვე ინერგება შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიული პროგრამები. ახალი საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზე, დაიწყება ზოგადი და პროფესიული განათლების სფეროთა ინტეგრირების პროცესი, საბაზო სწავლების დონეზე – პროფესიული უნარების განმავითარებელი აქტივობები, ხოლო საჯარო სკოლებში – სრულფასოვანი პროფესიული განათლება მოზარდებს დასაქმების სფეროსთან დაახლოებაში დაეხმარება.

განვითარდება პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის კავშირები, დაინერგება წინმსწრები და არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები. მოზარდებს, რომლებსაც არ აქვთ ზოგადი განათლების ატესტატი და სურთ პროფესიული განათლების მიღება, სპეციალური პროგრამის დანერგვის შემდეგ, სკოლის ატესტატის ეკვივალენტური სერტიფიკატის მიღება შეეძლებათ.“

დღეს მშობლების უმეტესობას სურს, შვილმა უმაღლესში ჩააბაროს და არა პროფესიულ კოლეჯში. უნივერსიტეტების ბაზაზე პროფესიული სკოლების გახსნით და უმაღლესი პროფესიული განათლების დამკვიდრებით, პროფესიულ პროგრამებში ჩართული სტუდენტების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

„ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარება მეცნიერების ფუნდამენტური დარგების უპირობო ხელშეწყობას მოითხოვს. სამინისტრო ხელს შეუწყობს მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სისტემების უკეთეს ინტეგრაციას. განსაკუთრებულ აქცენტს გავაკეთებთ ახალგაზრდა მეცნიერების წახალისებაზე. როგორც რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ასევე სამინისტრო დააფინანსებენ დამატებით საგრანტო კონკურსებს ახალგაზრდა მეცნიერების წასახალისებლად. თუ აქამდე ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებში კონკურსები მონაცვლეობით, წლის გამოტოვებით, ცხადდებოდა, სამინისტროს ინიციატივით, ამიერიდან ორივე ტიპის კვლევაში კონკურსი ყოველწლიურად გამოცხადდება.“

მინისტრის თქმით, უმნიშვნელოვანესია ისეთ პროგრამებში მონაწილეობა, როგორიცაა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების პროგრამა „ჰორიზონტი 2020“, გაძლიერდება როგორც არსებული საერთაშორისო საგრანტო პროექტები, ასევე დაიწყება ახალი პროგრამების მოძიება.

გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიო სამეცნიერო თანამეგობრობაში საქართველოს სრულფასოვანი ინტეგრირებისთვის სამეცნიერო დიასპორას ფასდაუდებელი წვლილის შეტანა შეუძლია, სამინისტრო ამ მიმართულებითაც აქტიურად იმუშავებს.

ახალგაზრდულ პოლიტიკაზე საუბრისას მიხეილ ჩხენკელმა განაცხადა, რომ უმთავრესი აქცენტი არაფორმალური განათლების განვითარებაზე გაკეთდება. სამინისტრო ხელს შეუწყობს ზამთრის და ზაფხულის სამეცნიერო სკოლების საქმიანობას, მეცნიერების პოპულარიზაციასა თუ საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებში სასწავლო მივლინებებს.

გაიზრდება ახალგაზრდულ და მოსწავლეთა ბანაკებზე ხელმისაწვდომობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ზუსტ და საბუნებისმეტყველო, სახელოვნებო და სპორტულ მიმართულებებს. ამასთან, ქართველ მოსწავლეებს საშუალება ექნებათ საერთაშორისო ბანაკებში წავიდნენ და საქართველოს ბანაკებშიც ვუმასპინძლოთ უცხოელ მოსწავლეებს, რაც მოზარდების დამეგობრებას და ახალგაზრდული დიპლომატიის განვითარებას შეუწყობს ხელს.

მინისტრის თქმით, სამინისტროს სურვილია, საქართველოსა თუ უცხოეთში ორგანიზებულ ყველა ბანაკში აფხაზი და ოსი მოზარდებიც აქტიურად ჩაერთონ.

დაბოლოს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ხაზი გაუსვა საერთაშორისო თანამეგობრობისა და პარტნიორი ორგანიზაციების დახმარების მნიშვნელობას: *„საქართველოს განათლების სისტემის განვითარება წარმოუდგენელია მეგობარი ქვეყნებისა და პარტნიორი ორგანიზაციების თანადგომის გარეშე. განათლების სამინისტრო უზრუნველყოფს ყველა დონორი ორგანიზაციის კონსოლიდაციას, რათა სასურველ შედეგს ერთობლივი ძალებით მივაღწიოთ. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის და ამერიკელი ხალხის დახმარება საქართველოს განათლების სისტემის გაძლიერებისთვის. უაღრესად დასაფასებელია ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და ამერიკის საელჩოს, ევროკავშირის დონორი ქვეყნების, თავად ევროკავშირის, ასევე მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხარდაჭერა. აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს უკვე გავაცანით ჩვენი ინიციატივები და მათგან სრული თანადგომისა და აქტიური მონაწილეობის პირობა მივიღეთ. ჩვენი ხალხის სახელით, მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს ამ თანადგომისთვის.“*

მოამზადა
ლალი თვალაბეიშვილმა

ახალი ამბები

სტუდენტური საერთო საცხოვრებელი

ივენე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასი წლისთავის აღსანიშნავად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნივერსიტეტს სამასზე მეტი სტუდენტისთვის განკუთვნილი ევროპული სტანდარტების საბინაო კომპლექსი გადასცა, სადაც სტუდენტებს, მათ შორის, რეგიონებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს, საინტერესო ცხოვრების, სპორტული აქტიურობის, შემოქმედებითი დასვენების, ახალი მეგობრების შეძენისა და ცხოვრებისეული გამოცდილების გამდიდრების შესაძლებლობა ექნებათ.

ევროპული სტანდარტების 320-ადგილიანი კომპლექსი სამი ოთხსართულიანი საცხოვრებელი კორპუსისგან შედგება.

გათვალისწინებულია საზოგადოებრივი, ადმინისტრაციული დანიშნულების შენობა და სპორტული მოედანი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის განცხადებით, უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები კერძო სექტორთან და სწორედ მათი მონაწილეობით, იგეგმება 3 ათას ადგილიანი საერთო საცხოვრებლის მშენებლობა სხვადასხვა სასწავლებლების, მათ შორის, უცხოელი სტუდენტებისათვის. მინისტრი დარწმუნებულია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ასეთი მხარდაჭერა სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზეც აუცილებლად აისახება.

თანამშრომლობის მემორანდუმი

კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციასა და სკოლებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი.

მემორანდუმის მიზანია სკოლებსა და ასოციაციის დამფუძნებელ უმაღლეს სასწავლებლებს შორის (საქართველოს უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი) მჭიდრო და გძელვადიანი ურთიერთობის დამყარება.

ასოციაცია ორმოც სკოლასთან (თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, რუსთავიდან და წყალტუბოდან), მემორანდუმის ფარგლებში, ითანამშრომლებს საგანმანათლებლო აქტივობების ხელშეწყობისთვის, რაც გულისხმობს:

• ახლებურად გააზრებული სასწავლო-შემოქმედებითი გარემოს ფორმირების ხელშეწყობას;

• საგანმანათლებლო ხასიათის ინფორმაციის ორმხრივად ურთიერთგაცვლას; მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასის მოსწავლეებისათვის პროფესიული ორიენტაციისათვის საჭირო ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდებას;

• ერთობლივი სასწავლო და საგანმანათლებლო პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას, მეცნიერული კვლევებისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას;

• მოსწავლეთათვის, სტუდენტებთან კოოპერაციის ფორმატში, კონკურსების, ოლიმპიადების, გამოფენების, ინტელექტუალური თამაშების, პრეზენტაციების, მრგვალი მაგიდისა და სემინარების გამართვას;

• სკოლის მოსწავლეებისათვის „ნორჩ პროგრამისტთა“, „მოსავალ დიპლომატთა“, „დებატების“ კლუბების, „საყმაწვილო ტელევიზიისა“ და „ლიდერთა სკოლის“ ჩამოყალიბებას, მათი საქმიანობის კოორდინირებას;

• „საზაფხულო სკოლების“ მუშაობაში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფას;

• სტუდენტთა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლობას.

საქართველოს ტექნოლოგიური მემკვიდრეობა

ათასწლეულის გამოწვევის ფონდისა და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით, გაიხსნა ფოტოგამოფენა „საქართველოს ტექნოლოგიური მემკვიდრეობა“, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე თევზაძე ეწვია.

გამოფენის მიზანია, საზოგადოებას გააცნოს XX საუკუნის საქართველოს მიღწევები ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ფოტომასალა ქართველი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების შესახებ, რომელთაც მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდათ ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში. ასევე, ასახულია საქართველოში განხორციელებული მნიშვნელოვანი გამოგონებებისა და ტექნოლოგიური პროექტების ამსახველი უნიკალური ფოტოები.

კონკურსი უფროსკლასელთათვის

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროების, გაზეთის „ახალი განათლება“ და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს თემაზე:

„ტრადიციული სათამაშოები“

კონკურსის მიზანია:

• გამოავლინოს დღემდე, უხუცესების მეხსიერებაში შემონახული სხვადასხვა კუთხის ხელნაკეთი სათამაშოების დამზადების ტექნოლოგია;

• გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;

• შექმნას განსხვავებული, შემოქმედებითი პლატფორმა სხვადასხვა ქვეყნების მოზარდების დამეგობრებისათვის;

• გაუღვივოს ახალგაზრდა თაობას ინტერესი წინაპრების კულტურისა და შემოქმედებისადმი;

• დაეხმაროს ახალგაზრდებს სხვა კულტურების გაცნობაში და ჩამოუყალიბოს მათდამი პატივისცემის გრძნობა.

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:

პირველი ტური გულისხმობს სკოლაში, მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა). საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

1. ვორდის ფაილში დაწერილ სათამაშოს დამზადების აღწერილობას;

2. მოსწავლეების მიერ მოთხრობილი ამბის მიხედვით შესრულებულ (დახატული, გამოძერწილი, კონსტრუირებული და სხვ.) ილუსტრაციებს და მათ, მაღალი ხარისხით გადაღებულ, ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის). ფოტოები უნდა გადმოიგზავნოს ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწერთან ერთად jpg ფორმატში;

3. ელემენტზე მუშაობის ამსახველ ფოტომასალას (გადმოგზავნილი ასევე jpg ფორმატით);

4. ვორდის ფაილში დაწერილი ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს მონაწილის მიერ შესრულებული ილუსტრაციების ფოტოებით, რათა ნამუშევრების გადარჩევისას კომისიის წევრებს გაუადვილდეთ მათი შეფასება.

***სასურველია,* ნიმუში ჩაიწეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.**

კონკურსის პირველი ტურის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს:

• კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com

• ან, მოგვაწოდოს ფოსტით „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“, მისამართზე: თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5.

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების შენიშვნების გათვალისწინებით, გადმოაგზავნიან დამატებით ინფორმაციას (ვორდი, ფოტო, ვიდეო ან აუდიო).

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და საჩუქრად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

გამარჯვებული ავტორი (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდება საგანგებო სიგელით და მიიღებს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“-ს წოდებას. ნამუშევრები აგრეთვე გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“ და გაშუქდება მედიით.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება;*
2. ნამუშევრის ავტორი მოსწავლის/მოსწავლეების – *სახელი, გვარი;*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);*
4. სახელმწიფო, ქალაქი (რაიონი, სოფელი), სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი).

7. ნიმუშის აღწერა

აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

• რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;*

• ნიმუშის სახელწოდება *(აგრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);*

• *სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩაწერილი ეს ნიმუში და ვისგან ისწავლეთ მისი დამზადება?*

• *რას უკავშირდებოდა აღნიშნული სათამაშოს გამოყენება,* ტრადიციულად რა დროს, რა შემთხვევაში თამაშობდნენ წარმოდგენილი ნიმუშით *(აღწერეთ გარემოება და თამაშის პროცესი (თუ ეს შესაძლებელია);*

• *აღწერეთ თავად ნიმუშის დამზადების პროცესი (მასალა და ტექნოლოგია);*

• *რა ატრიბუტები/იარაღები უკავშირდება/ახლავს თან მის დამზადებას/გამოყენებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში დააფიქსირეთ ფოტოზე);*

• *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის დამზადების დროს;*

• *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, რელიგიურ ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დასაბუთეთ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისათვის.*

სპეფიციკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო/აუდიო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვა თვალსაჩინო მასალა.

მოსწავლეთა განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ნამუშევრის აღწერილობითი ნაწილი – 10 ქულა;
ნაკეთობის ტრადიციულობა – 10 ქულა;
ნაკეთობის ესთეტიკური მხარე – 10 ქულა.

კონკურსის გამარჯვებულებისთვის გამოყოფილია შემდეგი ადგილები:

• ერთი პირველი ადგილი;

• მეორე ადგილს გაიყოფს ორი მონაწილე;

• მესამე ადგილს გაიყოფს სამი მონაწილე.

შეფასება მოხდება ქულათა დაჯამების პრინციპით. ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

გადმოგზავნის ვადაა 2018 წლის 20 მარტი

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში
მარინა თაქთაქიშვილი 599 08 40 03;
aramaterialuri@yahoo.com

აქტუალური თემა

მთავარი ორიენტირები ბულინგის დასამარცხებლად

ბოლო დროს, არასრულწლოვანებს შორის გამოვლენილმა ბულინგის მწვავე შემთხვევებმა, თემა კიდევ უფრო აქტუალური გახადა და ჩვენმა გაზეთმა არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა ბულინგის პრევენციას, მიზეზებს, საჭირო რეაგირებებსა და იმ კონკრეტულ ქმედით ნაბიჯებს, რომელსაც საზოგადოება ხელისუფლებისგან და, ზოგადად, სისტემისგან ითხოვს უფრო ეფექტური შედეგის მისაღწევად. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან არაერთი კომენტარი გაკეთდა იმის შესახებ, რა ღონისძიებებს ახორციელებს სისტემა პრობლემის დასაძლევად, რა ინსტრუმენტებითა და მექანიზმებით ცდილობს, თავი დააღწიოს ძალადობის მწვავე გამოვლინებებს თუ მის უხილავ ფორმებს. თუმცა, როგორც ჩანს, ძალადობა არც მხოლოდ ჩვენი სკოლის თანმდევი პროცესია და არც ასე მარტივად გადასაჭრელი პრობლემა, რადგან მოზარდებს შორის ძალადობა, მსოფლიოს არაერთი ქვეყნის სერიოზულ თავსატეხად იქცა, რასაც საერთაშორისო კვლევებიც ადასტურებს და სახელმწიფო დონეზე განხორციელებული კვლევებიც. ჩვენს სკოლებში, ბულინგის პრობლემა რომ სერიოზულად დგას, ეს სახალხო დამცველის მიერ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებულმა კვლევის შედეგებმაც აჩვენა და იმ მძიმე ფონმაც, რომელიც, ბოლო დროს, არასრულწლოვანების მიერ ჩადენილმა სასტიკმა ძალადობრივმა ქმედებებმა შექმნა. ბუნებრივია, პირველი კითხვა საზოგადოებას სისტემის მიმართ უჩნდება – რა პრევენციულ ღონისძიებებს ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იმისთვის, რომ მოზარდებმა სკოლებში თავი უსაფრთხოდ იგრძნონ, როგორ რეაგირებს მასწავლებელი და დირექტორი ბულინგის თავიდან ასაცილებლად ან გამოვლენილი შემთხვევების ეფექტურად მოსაგვარებლად? როგორ ვექებთ რთული სიტუაციიდან ეფექტურად გამოსვლის საუკეთესო გზებს? – ამ საკითხებზე გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის სამსახურის უფროსი მარიკა სიხარულიძე.

– როგორც ცნობილია, ცენტრი მასწავლებლებს ბულინგის პრევენციისთვის ტრენინგ-მოდულს ახორციელებს, რა არის მოდულის მთავარი კომპონენტები და რა ტიპის აქტივობებს სთავაზობთ მასწავლებლებს?

– 2016 წლიდან სკოლებში რეგულარულად ინერგება საკმაოდ მოცულობითი სატრენინგო მოდული – „ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის ხელშეწყობა“. მოდული კონკრეტულად სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის და იმ ადამიანებისთვისაა განკუთვნილი, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენენ სკოლაში კონფლიქტების აღმოფხვრის მიმართულებით – კლასის დამრიგებლები. ამ სეგმენტზე გათვლილი, საკმაოდ მოცულობითი, ინფორმაციული და ინტერაქტიული, 40-საათიანი სატრენინგო მოდული, უკვე 600-ზე მეტმა მსურველმა გაიარა. მოდული მაქსიმალურად მოიცავს ბულინგის ყველა მიმართულებას, დაწყებული ბავშვთა უფლებებით და მსოფლიოში აღიარებული კონვენციებით, დამთავრებული იმ მაგალითებით, რომელიც ბულინგის ნიშნების ამოცნობას, პრევენციასა და მართვა-აღმოფხვრას ეხება. ბულინგის მიმართულებები კი საკმაოდ ბევრია – კიბერბულინგი, სატელევიზიო, სექსუალური ხასიათის თუ ჯგუფური, ასევე, სხეულის ენით განხორციელებული და სხვ. მოიაზრება, ასევე, ფიზიკური და ემოციური ბულინგი.

მაგალითად, მოდულში ერთ-ერთი აქტივობა ასეთია: ტრენერი მსმენელებს სთხოვს, გაეცნონ ცხრილში ჩამოთვლილ მსხვერპლით მანიპულაციის სახეებს, მაგალითად, იზოლირება, დამცირება, წინააღმდეგობრივი მოთხოვნები, მუქარა, ძალის დემონსტრირება, პერიოდული შეწყალება, ფაქტების უარყოფა, ხელმეორედ ფორმულირება. შეთავაზებული ძალადობის შემთხვევების განხილვა და იდენტიფიცირება საკლასო ოთახში მიმდინარეობს. მასწავლებელი მსხვერპლის როლში შესვლით ადგენს ძალადობის ფორმირების დონეებს. შემდეგ იმართება დისკუსია. აქტივობის მიზანია ძალადობის ხილული თუ უხილავი მიზეზების გაცნობიერება, რაც ხელს უწყობს კონფლიქტის მოგვარებას ან მნიშვნელოვნად ამცირებს მის ალბათობას. ტრენერი მასწავლებლებს ორ ჯგუფად ყოფს და ურიგებს სხვადასხვა ფერის ქაღალდებს, ერთ ფერზე უნდა დაწერონ ძალადობის ხილული მიზეზები, ხოლო მეორეზე – უხილავი. ტრენერი წინასწარ დახატულ აისბერგზე აწებებს ქაღალდებს და ამით წარმოაჩენს ხილულ და უხილავ დონეებს. სერიოზული დრო ეთმობა გამოკვეთილი დონეების განხილვას და ძალადობისა და ბულინგის ცნებების ერთმანეთთან დაკავშირებას. ამით მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ მასწავლებელმა ბოლომდე გაიაზროს, რას შეიძლება ეწოდოს ბულინგი და რას – სხვა ტიპის ძალადობა.

მოდულის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მშობლებთან ურთიერთობის ნაწილიც. ბუნებრივია, თუ ჩვენ მშობლებთან არ გვექნა კომუნიკაცია და ერთად არ დადგა სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, დამრიგებელი და მშობელი, ბულინგის პრევენცია, თავისთავად, არაეფექტური იქნება. მშობლებისგან თუ არ გვექნა ინფორმაცია მათი შვილების შესახებ, ოჯახურ სატკივარზე, მაშინ როგორ დავეხმაროთ მათ? როგორ დაუდგეს მხარში სკოლა და დამრიგებელი მოსწავლეს? ყველაფერი ფუჭი იქნება, რადგან დოკუმენტებისა და კანონის გარდა, ამ პროფესიაში არსებობს ადამიანური მხარე, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტ როლს თამაშობს. არაერთ შეხვედრაზე, როცა ბავშვის უფლებებზე ვსაუბრობთ, პედაგოგები ამბობენ: პირველ რიგში, ადამიანური და დედობრივი გრძნობებია მთავარი ორიენტირი და მერე მოდის საგანი და ის უნარები, რომლითაც მოსწავლეები უნდა აღვჭურვოთ.

ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ მოდული ოჯახში ძალადობასაც განიხილავს. ამისთვის, ასევე, იშველიებს მაგალითებს კვლევიდან, რომელიც საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობას ასახავს და ტრენინგის ბენეფიციარებს შორის დისკუსიას წარმართავს. ამას წინ უძღვის ლექციის ტიპის საუბარი – მსმენელს აცნობენ ინფორმაციას, როგორ ხდება ბავშვთა ტრავმირება სხვადასხვა სიტუაციებში, მაგალითად, როცა ბავშვი ოჯახში ძალადობის შემსწრე ხდება და შემდეგ, კლასში, თავად წარმოჩნდება, როგორც მოძალადე. ეს ერთგვარი უტყუარი დასტურია იმისა, თუ როგორ შეიძლება ბავშვის ტრავმირება ძალადობრივ ოჯახურ გარემოში. ამ შემთხვევაში, ხაზგასმულია სკოლის როლი – როგორ ავიცილოთ თავიდან მსგავსი შემთხვევები სკოლის ჩარევით და ა.შ.

ბავშვზე ძალადობის ფორმები ასე ჯგუფდება – მოზარდი და ოჯახი, მოზარდი და სკოლა, მოზარდი და სხვა უფროსი, მოზარდი და მოზარდი. შემდეგ, გამოკვეთილი ოთხი მიმართულება განიხილება მოზარდისა და სახელმწიფოს ჭრილში, რა ფუნდამენტური დოკუმენტები აქვს სახელმწიფოს შემუშავებული ბავშვზე ძალადობის პრევენციისთვის, რა საერთაშორისო ნორმები არსებობს ამ მიმართულებით და ა.შ. ტრენინგებზე, ასევე განიხილება საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებიც, რომლებიც საკმაოდ ვრცელი ინფორმაციის შემცველია. ტრენერები ბენეფიციარებს გარკვეული ტიპის დავალებებსაც აძლევენ და შემდეგ სესიაზე განიხილავენ ინფორმაციის მიღების ხარისხს. ტრენინგ-მოდულის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის – რეფერირებისა და პროცედურების დოკუმენტების განხილვაც. ძირითადად, ბულინგის იდენტიფიცირებისთვის, მოდული მასწავლებლებს ამ ტიპის აქტივობებს სთავაზობს. თუმცა, როგორც უკვე გითხარით, ამის გარდა, ტრენერი ბენეფიციარებს უშუალოდ მოსწავლის როლში აყენებს და მაგალითებით განიხილავს სხვადასხვა სახის შემთხვევებს, როლური თამაშებით უჩვენებს ექსტრემალურ სიტუაციებში ბავშვების ქცევის მართვის საუკეთესო გზებს, რომელიც, ძირითადად, მათთან თანამშრომლობას ეფუძნება. ეს მართლაც საუკეთესო შესაძლებლობაა რთული სიტუაციიდან ეფექტურად გამოსასვლელად.

– რა კონკრეტული აქტივობები უნდა განახორციელოს მასწავლებელმა ბულინგის პრევენციისთვის?

– აქტივობებიდან უმთავრესი მაინც მოსწავლეებთან საუბრის მუდმივად წარმოებაა. ამის გარდა, ამ თემატიკაზე ფილმების ჩვენება და შემდეგ განხილვა. მასწავლებლები მოსწავლეების წინაშე მაქსიმალურად წარმოაჩენენ ტოლერანტული თვისებების მქონე პიროვნებას, კონკრეტული მაგალითების ჩვენებით, სიტუაციური, როლური თამაშებით, რაც აბსოლუტურად გამჭოლია და არც ერთ საგანზე არ არის ორიენტირებული. ეს ის ძირითადი მეთოდებია, რომლითაც მასწავლებელმა, ჩვენ მიერ შეთავაზებული მოდულის გავლის შემდეგ, მოსწავლეებთან უნდა იმუშაოს.

რაც შეხება ტოლერანტულ თვისებებს, ეს ძირითადად, ადამიანში კეთილგანწყობის გაღვივებაა – განსხვავებული აზრის მიმართ პატივისცემა, სხვების განსჯისგან თავის შეკავება, ზოგადად, ჰუმანიზმი, ადამიანის მიმართ სიყვარული და პატივისცემა. ამ თვისებების თვალსაჩინოებად მასწავლებელმა, როგორც გითხარით, შეიძლება ფილმები გამოიყენოს, ასევე, შეიძლება განხილული იყოს არატოლერანტული ქცევის მაგალითებიც, რათა მოსწავლეებმა დაინახონ, რა არის შეურაცხყოფა და დაცინვა, იგნორირება და გარიყვა (რაც ბულინგის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია და რასაც ნაკლებად ექცევა ხოლმე ყურადღება).

მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაამახვილოს ყურადღება იმაზეც, რა შეიძლება მიიჩნიონ მუქარად, დაშინებად და დევნად, თუნდაც ეს ხუმრობით, არასერიოზულად, ყველასთვის სახალისოდ განხორციელდეს კლასში. მაგალითად, ტრენინგ-მოდულში გამოყენებულია დამცირების ასეთი ნიმუშიც – ერთ-ერთი ბიჭი თანაკლასელ გოგონას სასიყვარულო წერილს სწერს. მესამე თანაკლასელი (შეიძლება სრულიადაც არ აქვს ცუდი განზრახვა არც ერთი კლასელის მიმართ), რომელსაც შემთხვევით ხელში უვარდება წერილი, „ბავშვური ხალისის გამოვლინებით“, დასვენებაზე, სხვების თანდასწრებით, ხმამაღლა კითხულობს სასიყვარულო წერილს. რაც მთავარია, ვერც კი იაზრებს, როგორ შეიძლება ამით გული ატკინოს როგორც ერთ, ისე მეორე თანაკლასელს. მსგავსი მაგალითების მოშველიებით, კლასში, მასწავლებელი განიხილავს იმ ფარულ თუ ხილულ მიზეზებს, რაც მოსწავლეს ჩაგვრის მსხვერპლად აქცევს. მეტიც, განიხილება ქმედებად, რომელიც, ნებსით თუ უნებლიეთ, ბავშვზე ფსიქოლოგიური ზეწოლის ბერკეტად მოიაზრება. სატრენინგო მოდულიც სწორედ იმაზეა აქცენტირებული, რომ ბავშვებს მივანიშნოთ ნებისმიერი ტიპის არატოლერანტულმა, არამეგობრულმა, არათანამშრომლობითმა და არაჰუმანურმა საქციელმა, შეიძლება თანატოლებთან დაძაბულობა და კონფლიქტი წარმოშვას, მეტიც, ყველაზე უკიდურესი ფორმა – სუიციდიც კი, რომლის მაგალითები, სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში, არაერთი იყო. ადამიანები, რომლებიც განათლების სისტემაში ვმუშაობთ, ამას ძალიან მწვავედ აღვიქვამთ და ვცდილობთ, მასწავლებლები სათანადო უნარებით აღვჭურვოთ, რომ ეს ყველაფერი დროულად ამოიცნონ და ეფექტური რეაგირება მოახდინონ.

– როგორ ფიქრობთ, ბულინგის პრევენცია საგნებთან ინტეგრირებულად უნდა მოხდეს თუ ამისთვის მასწავლებელს სპეციალურად უნდა ჰქონდეს დრო გამოყოფილი? როგორია დამრიგებლის როლი ბულინგის პრევენციაში?

– ყველა ფუნდამენტურ დოკუმენტში, იქნება ეროვნული სასწავლო გეგმა თუ მასწავლებლის სტანდარტი, ზოგად ნაწილში, ქუდად, ხაზგასმულადაა გამოყოფილი, რომ ყველა საგნის მასწავლებელმა, პირველ რიგში, მოსწავლეებს შორის თანასწორი გარემო უნდა შექმნას, თვითონაც პოზიტიური და ტოლერანტული იყოს ყველა მოსწავლის მიმართ. ფუნდამენტურ დოკუმენტებში, თუნდაც რევიზიის პროცესში, ეს ნაწილი არასოდეს დაიკარგება და პედაგოგი ვალდებულია, იზიარებდეს ამ პრინციპებს და ნერგავდეს სკოლაში. რაც შეეხება დამრიგებელს, როგორც გითხარით, უკვე არსებული ტრენინგ-მოდული სწორედ მათთვისაა განკუთვნილი. ყველა, ვინც ამ მოდულს გაივლის და კიდევ უფრო მეტად შეეხება ბულინგის ფარულ თუ აშკარა გამოვლინებას, მიღებული ცოდნის კლასში დანერგვას შეეცდება. არც ერთი დეტალი, ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელოც კი, არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა, რადგან ამან, შეიძლება სერიოზული და არასახარბიელო პრობლემები წარმოშვას. მათ შორის დავასახელებ, თუნდაც, მოსწავლეებში თვითშეფასების დაქვეითებას. „ეს არ გამომივა“, „ამას ვერ შევძლებ“ – მოსწავლის ასეთი თვითშეფასება პირდაპირი სასიგნალო ნიშანია მასწავლებლისთვის, რომ სწორი და დროული ინტერვენცია განახორციელოს მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად. ტრენინგ-მოდულის მეშვეობითაც ხომ სწორედ მსგავს შემთხვევებზე რეაგირების მეთოდებს ვასწავლით.

– საინტერესოა ისიც, როგორ ადგენთ მოდულით მასწავლებლის ტოლერანტობის ხარისხს – რამდენად ტოლერანტულია თავად, რომ ბავშვებს ეს უნარი განუვითაროს?

– ეს არის ფასეულობების და ღირებულებების ნაწილი, რომელიც, სამწუხაროდ, იოლად გაზომვადი არ არის. მსოფლიოში განათლების ექსპერტები თანხმდებიან, რომ ასეთი რამ მარტივად არ იზომება. შეიძლება იყოს გარკვეული ტიპის კითხვარი, გასაუბრება ან დისკუსია, რომელიც გამოავლენს ამა თუ იმ პარამეტრებს. ჩვენ ევროსაბჭოს ევროკონვენციების დანერგვის ნაწილშიც ვმუშაობთ. ამ მიმართულებით, ვახორციელებთ პროგრამას, რომელიც დემოკრატიული კულტურისა და ტოლერანტობის არაერთ ფუნდამენტურ დოკუმენტს მოიცავს, რაც ბავშვთა უფლებების დაცვას ეხება.

– ვფიქრობ, ყურადღების მიღმაა დარჩენილი ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – არ გვაქვს რეალური სტატისტიკა, სკოლებში არ აღირიცხება ბულინგის შემთხვევები. ფიქრობთ თუ არა, რომ მასწავლებლისთვის სავალდებულო უნდა იყოს მსგავსი აღრიცხვის წარმოება, რათა რეალურად შეფასდეს საჭიროებები, რომელ სკოლას და მასწავლებელს რა კონკრე-

აქტუალური თემა

ტული სახის ინტერვენცია ან დახმარება სჭირდება?

– ეს არ იქნება ადვილი პროცესი, რადგან აღრიცხვა ძალიან ბევრ ფარულ ფაქტორზეა დამოკიდებული, ბევრი ქმედება – ყურში ჩაჩურჩულებიდან დაწყებული, სერიოზული ჩხუბით დამთავრებული – შეიძლება ძალადობრივი სურათის შემქნელი აღმოჩნდეს. ამიტომ, ვფიქრობ, აღრიცხვიანობის წარმოება ძალიან რთული იქნება. ბულინგის მსხვილი და მწვავე შემთხვევები იოლად დასათვლელია, მაგრამ ტექნიკურად ცოტა რთულად მეჩვენება, მასწავლებელმა ყოველი რეპლიკა ან შელაპარაკება აღრიცხოს. ჩვენი ამოცანაა ღირებულებებზე და ჰუმანიზმის ძირითად ფუნდამენტურ მიმართულებებზე მუშაობა. თუმცა, თქვენ მიერ დასმული კითხვა, ალბათ, არა შინაარსობრივ ნაწილზე მომუშავე ადამიანებს, არამედ უფრო ადმინისტრირების ნაწილში ჩართულ სპეციალისტებს ეხება. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ აღიცხვის წარმოება, ფიზიკურად, შეიძლება იოლი არ იყოს, თორემ, თავისთავად, მსგავსი სტატისტიკის არსებობა საკმაოდ საინტერესო და გამოსადეგიც იქნებოდა.

– იყო თუ არა რეაგირება სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშზე, რომელმაც სკოლებში ძალადობისა და ბულინგის შემთხვევების გაზრდილი შემთხვევები აჩვენა? სამწუხაროდ, ფაქტია, რომ არ აღმოჩნდა საკმარისი და ეფექტური ის მცდელობა, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ.

– ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობთ სახალხო დამცველის აპარატთან და, ბუნებრივია, ამ კვლევის პრეზენტაციაზეც ვიყავით. თავისთავად, არა მხოლოდ ამ ინსტიტუციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები გვაინტერესებს, არამედ ნებისმიერი კვლევის, რომელიც სკოლებში ძალადობისა და ბულინგის საკითხებს ასახავს. აქედან გამომდინარე, აქტიურად ვართ ჩართული ამ პროცესშიც. სახალხო დამცველის ანგარიშის გამოქვეყნებას დაემთხვა, ჩვენ მიერ, უფრო ფართო მასშტაბის ტრენინგ-მოდულის დაგეგმვაც. ამის შესახებ კვლევის პრეზენტაციაზეც ვისაუბრეთ, განვიხილეთ კიდეც ჩვენი სამომავლო გეგმები. ეს არ იყო ერთჯერადი შეხვედრა, ყოველთვე თუ არა, კვარტალში ერთხელ მაინც, გვაქვს კომუნიკაცია ასეთ ინსტიტუციებთან, რომელთაც ჩვენ მიერ განხორციელებული ინტერვენციების სტატისტიკას ვაწვდით.

სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებულმა კვლევის შედეგებმა კიდევ უფრო გაგვიმყარა მოსაზრება, რომ ფართომასშტაბიანი ტრენინგების დაწყება საჭქარო და აუცილებელია.

– ფართომასშტაბიანი ტრენინგ-მოდული ახსენეთ, რომლის განხორციელებასაც მომავალში გეგმავთ. უფრო კონკრეტულად, რას გულისხმობს მოდული და რომელი საგნის პედაგოგებისთვისაა განკუთვნილი?

– სამომავლოდ ვგეგმავთ, არეალი კიდევ უფრო გავაფართოოთ (ეს ჩანაფიქრი დაემთხვა, ცოტა ხნის წინ, ბულინგის მწვავედ გამოვლინების შემთხვევებს). გადაწყვეტილი გვაქვს, დავიწყოთ ახალი სატრენინგო პროგრამა და მოვიცვათ არა მხოლოდ სამოქალაქო განათლების მასწავლებლები და დამრიგებლები, არამედ საგნის მასწავლებლებიც, კონკრეტულად, მშობლიური ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენების, ესთეტიკის ჯგუფის – ხელოვნების, მუსიკის, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები და საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის პედაგოგები (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება). ჩამოთვლილი საგნების მასწავლებლებს საშუალება ექნებათ, 2018 წლიდან, მსხვილ სატრენინგო პროგრამაში, ერთ-ერთ მოდულად გაიარონ ჩვენ მიერ შეთავაზებული მოდული, რომლის სახელწოდებაც ჯერჯერობით ზუსტად არ არის განსაზღვრული, რადგან სამუშაო პროცესშია, თუმცა, იდეაში ქცევის მართვას ეხება. ეს მოდული უფრო მსხვილი და მრავალფეროვანია იმ მხრივაც, რომ მასში შესულია ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის, მასწავლებლის ქცევის (როგორ იმოქმედოს კლასში), მისი მხრიდან უსაფრთხო გარემოს შექმნის, უშუალოდ კონფლიქტებისა და ძალადობის შემთხვევების მართვის და პრევენციის საკითხები. მოდული ჩამოთვლილ პროცესებზე იქნება ორიენტირებული და ყურადღება გამახვილდება ტოლერანტული და თანასწორი გარემოს შექმნაზე, სწორედ ტრენინგ-მოდულის დახმარებით ვაპირებთ მასწავლებლების ამ ინსტრუმენტებით აღჭურვას.

უკვე არსებულ მოდულზე მეოთხედ გამოვაცხადეთ რეგისტრაცია, დიდი იმედი მაქვს, რომ შემდეგ გამოცხადებაზე უკვე ფართომასშტაბიანი სატრენინგო მოდულიც წამოგვეწევა. ასევე, დიდი იმედი მაქვს, რომ მეტი მასწავლებელი დაინტერესდება და ჩაერთვება ტრენინგებში, რადგან მას, ისე როგორც დანარჩენ მოდულებს, სავალდებულო ფორმა არ აქვს, იმ კასკადური ტრენინგებისგან განსხვავებით, რომლის გავლის აუცილებლობა პედაგოგებს მითითებულ ვადებში აქვთ განსაზღვრული. ასეთი სტატუსი ჩვენს ტრენინგ-მოდულებს, ჯერჯერობით, არ აქვს. თუმცა, სქემის მიხედვით, ტრენინგის გავლის შემთხვევაში, მასწავლებლებს „მომხიბვლელი კრედიტ-ქულები“ ელოდებათ, რაც კარიერულ წინსვლაში აუცილებლად წაადგებათ და შეიძლება, ერთ-ერთ კარგ მოტივატორადაც იქცეს მათთვის. ტრენინგ-მოდულის ერთი სარგებელი კრედიტების მიღებაა, მეორე – იმ პრაქტიკული ხასიათის სამუშაოებისა და პროექტების განხორციელება, რომლებსაც ქცევის მართვის მიმართულებით განახორციელებენ მასწავლებლები და დამატებითი კრედიტებით შეფასდებიან. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, ტრენინგ-მოდულის გავლა მასწავლებლისთვის მრავალმხრივ მომგებიანი იქნება არა მარტო პროფესიული ცოდნისა და უნარების თვალსაზრისით, არამედ კარიერული წინსვლისთვისაც. რაც შეეხება სატრენინგო მოდულის დანერგვის ზუსტ ვადას, ჯერჯერობით ვერ გეტყვით, სავარაუდოდ, ვფიქრობთ, გაზაფხულიდან დავიწყებთ.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

სასკოლო აქტივობა

ნაბიჯი თანადგომისკენ

მიმდინარე წელი საქართველო-გერმანიის მეგობრობის წლად გამოცხადდა. მრავალ ღონისძიებათა შორის, რომელიც ამ თარიღს მიეძღვნა, ერთ-ერთი ესეების კონკურსიცაა – „ნაბიჯი თანადგომისკენ“. მისი ორგანიზატორები არიან თსუ და საქართველოს გერმანული ენის მასწავლებელთა ასოციაცია (პრეზიდენტი – **ნინო ფალავანდიშვილი**).

კონკურსის მიზანი ქართულ-გერმანული ურთიერთობებით ქართველი ახალგაზრდების დაინტერესება და გერმანული ენის პოპულარიზაციაა. ჩვენი სკოლის მოსწავლეები დიდი ინტერესით ჩაებნენ ღონისძიებაში, ბევრი საინტერესო და საზოგადოებისთვის უცნობი ინფორმაცია და ფოტომასალა მოიპოვეს.

11 დეკემბერს, თსუ-ში კონკურსის მონაწილეებთან შეხვედრა და გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა. ჩვენი სკოლის სამ მოსწავლეს: **ვლადიმერ კაპანაძეს, მირანდა ჩაჩანიძეს** და **თამარ მუმლაძეს** I ადგილი მიეკუთვნათ, ხოლო **ბარბარე მანჯავიძესა** და **სალომე კაპანაძეს** II ადგილი ხვდათ წილად. შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა და გამარჯვებულებს მიულოცა ჟიურის თავმჯდომარემ, რაინ-ერფრატის მწერალთა კავშირის წარმომადგენელმა, დრამატურგმა და ქართული ანთოლოგიის გერმანულად მთარგმნელმა, **რობერტ გრიუნერტმა.** მანვე წაიკითხა ქართველი ავტორების ლექსების საკუთარი თარგმანი გერმანულ ენაზე, ცოცხალი მუსიკის თანხლებით. კონკურსის გამარჯვებულ მოსწავლეებს სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

ჟუჟუნა გურჯანაძე
წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გთავაზობთ პირველ ადგილზე გასულ ესეს

განა მოითვლება?!

ისინიც არიან...

ჩვენც ვართ...

შორიდან შორს, დიდი და პატარა ერი... მაგრამ გული სწვდება გულს, სული-სულს. რა ვუყოთ, რომ ისტორიის ქარტეხილებმა ჩამოწნა ავბედითი წიაღსვლები და შექმნა წლები, რომლის მოწონებაც არ შეიძლება.

ჰოდა, „აზრთა გრეხილი“ მიუყვება შორეთს, შეაღწევს წარსულში, გადასწვდება ახალსაც. ახლის ძიება უპირველესია მაინც. მაგრამ ისტორიის ბილიკების გზაწვრილებში მეტად საინტერესო ხედები ჩნდება.

თურმე ჭიათურაში გერმანელებს უცხოვრიათ, განა მხოლოდ უცხოვრიათ?

– არა! საოცარი რამეები უკეთებიათ, უშენებიათ, უმოღვაწიათ.

როცა მეტის გაგების სურვილი გამიძლიერდა, ჩემს დიდედას ვკითხე.

იმდენი რამ მიამბო, მითხრა და მაჩვენა, მართლაც გაოცებული დავრჩი. იმ ავბედითი დროის გამო საკმაო რაოდენობით იყვნენო ჭიათურაში გერმანელი ტყვეები: მშენებელი ინჟინრები, სამთოელები, მუსიკოსები, მხატვრები. ისინი ცხოვრობდნენ და შრომობდნენ ჩვენთან ერთად. ვმასპინძლობდით შეძლებისდაგვარად, ვმეგობრობდით. აშენებდნენ ბევრ შენობას, ამ შენობებში მათი ნაფიქრალ-ნააზრევია, მათში ერთიანდება გერმანული და ქართული სული – მიხსნის დიდედა.

უყურეთ ამ შენობას, ნახეთ რა ლამაზია შორეთიდან, ახლაც რომ თავისებური ხიბლით ალამაზებს ქალაქს.

მათი ნაგებია, მკვიდრად ჩასხმულ-ჩამოძერწილი, ნატიფი და ძალუმი, როგორც მათი რწმენა, რომელიც ხელებს და გონებას ერთი მიზნისკენ მიმართავდა – აეგოთ საუკუნის შენობა...

შენობა დღესაც თვალს ახარებს და იცით, რა გრძნობა გეუფლება? ისინი ჩვენიანები არიან, რამეთუ კულტურა აერთიანებს და ადუღაბებს მეგობრობას, თანადგომას. ჰოდა, მივუყვებით ისევ წლებს, რომლის ხვეულებში ნათლად კიაფობს წარსული.

ეს უნიკალური ძეგლი კი ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრია, რომელიც გერმანელი ტყვეების მონაწილეობით არის აშენებული და რომელშიც მათი ნაფიქრალ-ნააზრევია, მათი ხელია, მათი ნიჭია და მათი ხსენების უკვდავებაა.

განა მოითვლება ის, რისი გაკეთება შეძლეს ან შეძლებენ კიდევ მეგობრული ურთიერთობებით, თანადგომით გერმანელები და ქართველები?

ჭიათურაში გვაქვს ამ ადამიანების სამარხებიც, რომელთაც დიდი რუდუნებით ვუვლით. დიდი მინდორი, ლამაზად შემოღობილი, ჭიშკარზე მემორიალური დაფით, ასწლოვანი ხეებით. აქ გერმანელი ტყვეების სამარადისო განსასვენებელია.

ქვაზე წარწერა ამოვიკითხეთ: აქ განისვენებენ მეორე მსოფლიო ომში მონაწილე გერმანელი სამხედრო ტყვეები.

ყვავილებით შევამკეთ მათი საფლავები. გვინდა გჯეროდეთ, რომ მათ ამბავს ჩვენს შთამომავლობას გადავცემთ, რომელიც კვლავაც უკვდავყოფს მათ სახელებს.

ვლადიმერ კაპანაძე,
მირანდა ჩაჩანიძე,
თამარ მუმლაძე

სასკოლო აქტივობა

ჩართულობას ერთგვარი გადამდები ხასიათი აქვს

ლალი ჯელაძე

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, წლების განმავლობაში დამკვიდრებული ერთ-ერთი ნაკლი, როცა მშობელი მხოლოდ შვილის წარმატების ან წარუმატებლობის ინფორმაციის შეტყობით შემოიფარგლებოდა, ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა და მშობელი გაცილებით აქტიურად ჩაება სასკოლო ცხოვრებაში, შეიქმნა „მშობელთა კლუბები“, დაინერგა პროექტები, რომლის მიზანიც სკოლასთან მჭიდრო თანამშრომლობაა, რათა მშობლებმა საკუთარი თვალით ნახონ მასწავლებლის სწავლების სტილი, დააკვირდნენ და საგაკვეთილო პროცესის თანამონაწილენი გახდნენ, პედაგოგს აცნობონ შვილის საჭიროებების შესახებ და ერთად იმუშაონ პრობლემების ეფექტურად მოგვარებაზეც. მართალია, დიდი ხანი არ არის, რაც სკოლაში მშობლის ჩართულობა გააქტიურდა, თუმცა გარკვეული გამოცდილება მაინც დაგროვდა. ამის მაგალითად ერთ-ერთი სკოლის აქტივობა მინდა შემოგთავაზოთ. სკოლა „კანდიდი“, რომელიც 18-წლიან ისტორიას ითვლის, ერთი წელია, ინტენსიურად ნერგავს „მშობელთა ჩართულობის“ პროექტს, რომლის ფარგლებშიც არაერთი საინტერესო და საჭირო აქტივობა განახორციელა.

„კანდიდის“ დირექტორი **მარინა ქვრივიშვილი** გვიამბობს, რომ სკოლა, ტრადიციულად, წლის ბოლოს ძალიან საინტერესო ღონისძიებებს მართავს, ბუნებრივია, გამონაკლისი არც წლევანდელი წელია. *„სკოლაში ახლაც ეტაპობრივად მიმდინარეობს საახალწლო თუ წლის შემაჯამებელი, საანგარიშო ხასიათის აქტივობები. ღონისძიებებში ჩართულია მთელი სკოლა, დაწყებითი საფეხურის 480-ვე მოსწავლე. ხშირად ჩვენი ღონისძიებების დასკვნითი ეტაპი „ახმეტელის თეატრის“ ან მოზარდ მაყურებელთა თეატრის შენობაში იმართება. წელს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დავიწყეთ და სასიხარულოა, რომ მისი ინიციატორები შემოქმედი მასწავლებლები არიან. ასეთი სასარგებლო ინიციატივისთვის პედაგოგები პრემიებითაც კი წავახალისეთ. პროცესი გაგრძელდება და იმ პედაგოგებს, რომლებმაც მშობლები ჩართულობაში გამოიწვიეს და, საგაკვეთილო პროცესის პარალელურად, არაფორმალურ განათლებასაც დაუთმეს დრო, მოტივაციის ასამაღლებლად, მომავალშიც წავახალისებთ. მათ, ასეთი ინიციატივის გამოჩენით, საერთო ჯამში, ხელი შეუწყვეს აღსაზრდელებში პოზიტიური უნარ-ჩვევების განვითარებას.*

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სკოლა „კანდიდის“ მოსწავლეთა მშობლებს, რომ ასე აიტაცეს აქტივობა და სკოლის ისტორიაში ბევრი საინტერესო დღე ჩაწერეს. ღონისძიებების თემატიკას იმდენად კარგად არჩევენ, რომ არც ერთი აქტივობა არ ჩატარებულა ისეთი, მოსწავლეების აღზრდაში მნიშვნელოვანი როლი რომ არ ეთამაშა.“ – ამბობს ქალბატონი მარინა.

ღონისძიებები მართლაც მრავალფეროვანია. მაგალითად, ერთ-ერთმა მშობელმა ბავშვები თავის სტომატოლოგიურ კლინიკაში წაიყვანა და მათ კბილის ექიმთან მისვლის შიშის დაძლევაში დაეხმარა, მეორემ – ბავშვებისთვის სხვადასხვა პროფესიის გაცნობა გადაწყვიტა, სკოლაში პოლიციელი მოიყვანა და სამართალდამცველის პროფესიას ღია გაკვეთილი დაუთმო – აჩვენა აღჭურვილობა, რომელსაც პოლიციელი მოვალეობის შესრულების დროს იყენებს, კანონის დაცვის აუცილებლობაზეც ისაუბრა ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე, რაც იმდენად მომხიბვლელი აღმოჩნდა, რომ მეორე დღეს ბავშვების უმეტესობას პოლიციელობა უნდოდა.

მშობელთა ნაწილი აქტივობას ხელოვნებას უთმობს, ნაწილი – ქველმოქმედებას, ეკოლოგიის საკითხებს თუ ბავშვთა უფლებების დაცვას. პატარებმა მოინახულეს გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური სახლ-მუზეუმი, ლიტერატურის მუზეუმი... აქტივობების ნაწილი შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებით გამოირჩევა, მაგალითად, „ყურძნის ჯიშები და ღვინის წარმოების ტექნოლოგია“, „ადამიანის აგებულება“, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება და ა.შ. ერთ-ერთი აქტივობა სკოლის ეზოს გამწვანებასაც დაეთმო – ეზოს პატარა მონაკვეთი, მათივე გემოვნებით მოაწყობინეს. ამ დღეებში დაგეგმილია საუბარი – „არა ძალადობას“, რომელსაც ერთ-ერთი მშობელი, სასულიერო პირი, ჩაუტარებს ბავშვებს.

პროექტის „მშობლის ჩართულობა სკოლაში“ ფარგლებში განხორციელებული მორიგი აქტივობა, რომლის შემსწრეც გავხდი, პირველკლასელი **ნიკოლოზ თაბუაშვილის** დედის ინიცირებული იყო – პირველკლასელებმა მე-200 სკოლა-პანსიონის თანატოლებს ახალი წელი მიულოცეს. თითქოს არაფრით გამორჩეული ღონისძიება ამ პატარების ცხოვრებაში თანადგომის პირველი მცდელობა იყო, მათ თანატოლებს მოკრძალებული ძღვენიც – მისალოცი ბარათები და ტკბილეული – მიუტანეს და საახალწლო მინი-კონცერტიც ჩაუტარეს. მენტალური შეფერხების მქონე ბავშვების აყოლიება არც ისე იოლი აღმოჩნდა, თუმცა მათ სახეზე გამოხატული ემოცია, რომელიც ნამდვილად შესამჩნევი იყო, მადლიერების დასტურად მივიჩნიე. დეკემბრის ერთი, გამორჩეულად ნისლიანი და მოწყენილი დღე პანსიონის ბენეფიციარებისთვის წინასაახალწლო განწყობამ შეცვალა.

თავიანთ სკოლაში დაბრუნებულ პირველკლასელებს როცა ვკითხე, მისალოც ბარათებში რა დაწერეს, რამდენიმემ მიპასუხა, რომ ბარათს სიამოვნებით შეცვლიდა, რადგან, უკვე დამეგობრებული ბავშვებისთვის, უფრო მეტი კეთილი სურვილის „დატოვება“ მოუნდათ.

ნინო კოპალიანი, ღონისძიების ორგანიზატორი: *„დიდხანს არც მიფიქრია რა გამეკეთებინა, რადგან მშობელთა ჩართულობით განხორციელებული აქტივობები ხომ, ძირითადად, ჩვენი შვილების სწორად აღზრდას ემსახურება. რა შეიძლება თანადგომასა და ტოლერანტობაზე ფასეული ჩაუნერგო შვილს? სსმ ბავშვებთან საახალწლოდ მისვლის იდეა მშობლებმა მოიწონეს და ღონისძიების ორგანიზებაშიც დამეხმარნენ. მცირე, მაგრამ თანატოლებისადმი გულწრფელად გამოხატული თანადგომა, მერწმუნეთ, ჩვენი შვილებისთვისაც ბევრის მომცემი და ფასეულია. ბავშვებს ამ ასაკიდანვე უნდა დავეხმაროთ საზოგადოებაში გაჩენილი სტიგმის დაძლევაში, რომ შეზღუდული შესაძლებლობები გადამდები არ არის, რომ ყველა ბავშვი თანასწორია.“*

ირმა გურგენიძე, პირველი კლასის მასწავლებელი: *„რა თქმა უნდა, მიხარია, როცა ჩემი აღსაზრდელები ასეთ ინიციატივებში არიან ჩართულები, ორმაგად სასიამოვნოა, როცა ეს ყველაფერი მშობელთა ჩართულობით ხდება. როცა ამ ღონისძიების შესახებ შევიტყვე, ორგანიზატორ მშობლებთან ერთად, მოსწავლეებს ვესაუბრე რას ნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობები, ვესაუბრე იმ უფლებებზე, რომელიც ნებისმიერ ბავშვს, მიუხედავად მისი სოციალური სტატუსისა, აქვს. მართლა ძალიან ფაქიზი თემაა და აუცილებელია პატარებს თავიდანვე სწორად და ჯანსაღად მივაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ განსხვავებული, შესაძლებლობები კი არა, გარემოა, რომელშიც გვიწევს ცხოვრება.“*

გვანცა პეტრიაშვილი, მშობელი: *„ვფიქრობ, დღევანდელი აქტივობა ძალიან სასარგებლო იქნება როგორც ჩვენი შვილებისთვის, ისე მე-200 სკოლა-პანსიონის აღსაზრდელებისთვის. რაც მთავარია, პირველკლასელებს ამ ბავშვებთან მეგობრობის სურვილი გაუჩნდათ და იმედი მაქვს, ეს ურთიერთობა ერთჯერადი არ იქნება და მომავალშიც გაგრძელდება“.*

სკოლა „კანდიდის“ დირექტორს მიაჩნია, რომ მშობლების ჩართულობა იმაშიც ეხმარება, რომ ბავშვი სახლში იმის გამო არ ისჯებოდეს, სკოლაში დაბალი ნიშანი თუ მიიღო. *„სხვათა შორის, კერძო სკოლებთან განსაკუთრებული პრეტენზია აქვთ ხოლმე მშობლებს, როცა შვილები დაბალ შეფასებას იღებენ. ამიტომ გვინდა, მუდმივი კომუნიკაციით, ეს პრობლემაც უმტკივნეულოდ გადავჭრათ ისე, რომ ბავშვს სახლშიც და სკოლაშიც თავიდან ავარიდოთ ძალადობა* – ამბობს ქალბატონი მარინა, – *თუ მშობელი არ დაგვეხმარა იმ საჭიროებისა და პრობლემის გამოკვეთაში, რაც მის შვილს სჭირდება, ჩვენ ვერაფერს გავხდებით. ზოგადად, სკოლა მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის ერთობლიობაა, რომელიც მთავარ მიზანს – მომავალი მოქალაქის სწორად აღზრდაფორმირებას ემსახურება. დაწყებითი განათლების საფეხური აღზრდის ის საძირკველია, სადაც ერთი არასწორი შეცდომაც კი შეიძლება მთელი ცხოვრების თანმდევად იქცეს.“*

მე-200 საჯარო სკოლა-პანსიონის სააღმზრდელო პროგრამების კოორდინატორმა, **ქეთევან სტურუამ** მადლობა გადაუხადა ღონისძიების ინიციატორებს და აღნიშნა, რომ პანსიონის აღსაზრდელებისთვის თანატოლთა თანადგომა, მათთთან კომუნიკაცია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თუმცა, ისიც დასძინა, რომ ეს ორმხრივად სასარგებლოა, რადგან, როცა ბავშვი პირველივე კლასიდან ეჩვევა თანადგომას, ის აუცილებლად ჰუმანურ ადამიანად გაიზრდება. *„სკოლა „კანდიდის“ აღსაზრდელებმა დღეს ჩვენი ბავშვები ძალიან გაახარეს და სკოლაში წინასაახალწლო განწყობა შემოიტანეს, დიდი მადლობა მათ ამისთვის და ყველას ვულოცავ დამდეგ ახალ წელს.“*

„მშობელთა კრების“ ფორმატიდან, თანდათანობით, თანამშრომლობაზე გადასვლა და მშობლების აქტიურად ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში მართლაც საშური საქმეა, თუმცა, არა მხოლოდ ღონისძიებებით. თანამშრომლობა კიდევ უფრო ეფექტური იქნება, თუკი სკოლა მშობლებთან სხვა კუთხითაც იმუშავებს – მოუსმენს მათ პრეტენზიებსა თუ მოსაზრებებს. თანამშრომლობის მთავარი მიზანიც ხომ ისეთი კეთილგანწყობილი სასკოლო გარემოს შექმნაა, როგორშიც ყველა მშობელს სურს, რომ მისმა შვილმა ისწავლოს. ამის არაერთი საერთაშორისო გამოცდილება არსებობს, საუკეთესო მაგალითებადაც კი შეიძლება გამოვიყენოთ მილფორდის, ორჩად ჰილსის სკოლის გამოცდილება, რომელიც 2005 წლიდან დოქტორ ეფშტეინის მიდგომით მშობელთა ჩართულობის პროგრამის განხორციელებას გულისხმობს. ეს პროგრამა იმის საუკეთესო მოდელად შეიძლება მივიჩნიოთ, თუ როგორ შეიძლება პროგრამაში ჩაერთონ არა მხოლოდ მშობლები, არამედ მთელი საზოგადოება და ერთად იფიქრონ, როგორ დაეხმარონ სკოლას. საერთო ჯამში, ამ მაგალითმა საუკეთესო პრეცედენტი შექმნა – მშობელთა ჩართულობის გრძელვადიანი პროგრამების განხორციელების შედეგად, სკოლაში პოზიტიური უნარ-ჩვევების განვითარების გარდა, გარკვეულ საგნებში, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებაც საგრძნობლად გაუმჯობესდა.

რა თქმა უნდა, მშობლებთან ურთიერთობა ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ სკოლის მხრიდან, ცდად ნამდვილად ღირს. რაც მთავარია, ბევრ სიკეთესთან ერთად, ჩართულობას ერთგვარი გადამდები ხასიათი აქვს და ამაში „კანდიდის“ სკოლის მაგალითმა დაგვარწმუნა.

გამოცდილება

ტრადიციები და ინოვაციები უცხოური ენების სწავლებისას

ტრადიციულ და თანამედროვე განათლების სისტემაში ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადმოცემის ძირითადი ფორმაა გაკვეთილი. გაკვეთილზე პედაგოგი იყენებს სხვადასხვა მეთოდს, მათი ნაწილი მიეკუთვნება ტრადიციულ მეთოდებს, მეორე ნაწილი კი – ინოვაციის. სწავლების ტრადიციული მეთოდების გამოყენების დროს მოსწავლე პასიურია, რომელსაც მასწავლებელი გადასცემს ცოდნას. ტრადიციულ სისტემას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
სწავლების სისტემატურობა	ერთფეროვნება
სასწავლო მასალის ლოგიკურად აწყობა და მიწოდება	საგაკვეთილო დროის არარაციონალური განაწილება. ძირითადი დრო ეთმობა მასალის ახსნას. მასალის გააზრება და დამუშავება ჩანს საშინაო დავალებაში.
ორგანიზაციული სიზუსტე	თვითგამოხატვის ნაკლებობა
პედაგოგი – სასწავლო პროცესის მთავარი მოქმედი პირი	მოსწავლის პასიურობა, სუსტი უკუკავშირი, ინდივიდუალური მიდგომის არარსებობა

XXI საუკუნის დასაწყისში, განათლების სისტემაში აუცილებელი გახდა გარკვეული ცვლილებების შეტანა. რეფორმა გარდაუვალი იყო რამდენიმე მიზეზის გამო: შეიცვალა დრო, დაიწყო პოსტინდუსტრიული საინფორმაციო ეპოქა, გაიზარდა ინფორმაციის ნაკადი. დროსთან ერთად მოსწავლეებს სხვა მოთხოვნილებები გაუჩნდათ. განათლების მიზანი გახდა მოსწავლის პიროვნული განვითარება, რათა მან შეძლოს რეალიზება პოსტინდუსტრიულ ეპოქაში.

მასწავლებელი დადგა კონკრეტული პრობლემის წინაშე. მოსწავლეს აღარ უნდა სწავლა მხოლოდ ტრადიციული მეთოდებითა და ხერხებით. აუცილებელი გახდა ახალი მეთოდების შემუშავება და მათი დანერგვა სასწავლო პროცესში. თანამედროვე გაკვეთილი, ეს არის მეცადინეობა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა მეთოდს. თუ ტრადიციული სწავლების დროს გაკვეთილზე პედაგოგი იყო მთავარი მოქმედი პირი, თანამედროვე გაკვეთილი მასწავლებლის და მოსწავლეების ურთიერთთანამშრომლობით გამოირჩევა.

რით გამოირჩევა ინოვაციური სწავლების მეთოდი

- გაკვეთილს არა აქვს კონკრეტული ჩარჩოები;
- პროგრამულ მასალასთან ერთად პედაგოგი იყენებს არაპროგრამულს;
- ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის თანაარსებობა;
- გაკვეთილზე პედაგოგი ხშირად იყენებს ვიზუალურ მასალას, ინფორმაციულ ტექნოლოგიებს;
- სწავლების პროცესი უფრო შემოქმედებითია.

რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები დადებითად მოქმედებენ სასწავლო პროცესზე: მოსწავლე ინტერესით შედის გაკვეთილზე, რადგან გაკვეთილი ყოველთვის მრავალფეროვანია, იგი საგაკვეთილო პროცესის აქტიური მონაწილეა, აქვს საშუალება გამოაჩინოს საკუთარი ორიგინალობა და კრეატიულობა პრეზენტაციასა თუ პროექტში.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა რუსული ენის სწავლების პროცესშიც. XX საუკუნეში რუსულ ენას, როგორც უცხოურს, ასწავლიდნენ ევროპაში, ამერიკაში, აზიისა და აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში. ისწავლებოდა რუსული ენის გრამატიკა, თარგმნა რუსულიდან მშობლიურ ენაზე და პირიქით. გავრცელებული იყო სწავლის პირდაპირი მეთოდი. ამ მეთოდით არის შედგენილი 1980 წლის რუსული ენის სახელმძღვანელო ქართველი სტუდენტებისთვის (ტ. აგლაძის, გ. გოლეთიანის და ი. ჭოხონელიძის ავტორობით). მასში დაწვრილებით განიხილება რუსული ენის მორფოლოგია, წარმოდგენილია ბევრი სათარგმნი სავარჯიშო და ტექსტები რუსული კულტურის და ლიტერატურის შესახებ. რატომ შეიცვალა დღეს რუსული ენის სახელმძღვალოს სტრუქტურა? პირველ რიგში, შეიცვალა სწავლების მეთოდი ყველა ქვეყანაში და მათ შორის, საქართველოშიც, სადაც რუსული ენა ისწავლება, როგორც უცხოური ენა. წინა პლანზე წამოიწია სწავლების კომუნიკაციურმა მეთოდმა, რომლის მიზანია ასწავლო მოსწავლეს სხვადასხვა პრობლემის თუ ამოცანის გადაჭრა უცხოურ (რუსულ ენაზე) ენაზე, თავისუფალი ურთიერთობა რუსული ენის მატარებელთან. კომუნიკაციური მეთოდი ხელს უწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. ასე რომ, რუსული ენის ათვისება ხდება ბუნებრივი ურთიერთობის დროს. მასწავლებელი ამ კომუნიკაციის ორგანიზატორი და მონაწილეა, მოსწავლეებთან ერთად, მოსწავლეები კი მუდმივ მოქმედებაში არიან. ამ გზით მასწავლებელი აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნას, მიმართულებით – „ლაპარაკი“. რუსული ენის სწავლების თანამედროვე პრაქტიკა გთავაზობთ მუშაობას სხვადასხვა მიმართულებით: მოსმენა, წერა, კითხვა, ლაპარაკი, კულტურათა დიალოგი, მედიაცია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს მიმართულება ემსახურება სწორედ საკომუნიკაციო უნარის განვითარებას. ერთ-ერთი თანამედროვე გრიფმინიჭებული რუსული ენის სახელმძღვანელო, რომლის ავტორია მ. რევია, ამ ტენდენციის მაგალითია. ლექსიკური სავარჯიშოები ასწავლიან მოსწავლეებს შესიტყვებას, წინადადების შედგენასა და გამოყენებას. გრამატიკული მასალა კი ისეა შერჩეული, რომ მოსწავლემ ყველა შესწავლილი კონსტრუქცია ზეპირ მეტყველებაში გამოიყენოს. აუდიოსავარჯიშოებში, ძირითადად, გამოყენებულია დიალოგები, მონოლოგები საყოფაცხოვრებო თემებზე. წასაკითხი მასალა თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანია.

ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებების წარმატებით განსახორციელებლად საჭიროა თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენება. მეთოდი არის „პედაგოგიური საქმიანობის ხერხი“, რომლის დახმარებით პედაგოგი ახორციელებს თანამშრომლობას მოსწავლესთან, მოსწავლეების ჯგუფთან ან მთელ კლასთან. სწორად შერჩეული და გამოყენებული მეთოდები ეხმარება მოსწავლეს პროგრამის ათვისებასა და მიღებული ცოდნის გამოყენებაში. იმისათვის, რომ თანამედროვე სასწავლო პროცესი იყოს წარმატებული, მასწავლებლის მეთოდური კომპეტენცია მაღალ დონეზე უნდა იყოს.

რა მეთოდების გამოყენება შეიძლება თანამედროვე რუსული ენის გაკვეთილზე? რა მიზანს ემსახურება და რა შედეგს ვაღწევთ მათი გამოყენებით?

განვიხილავ რამდენიმე მათგანს.

გაკვეთილის საწყის ეტაპზე ჩემთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეების ყურადღების მობილიზება და მოტივირება განსახილველი თემისადმი. ამ მიზნის მისაღწევად ვიყენებ **„გონებრივი იერიშის“** ან **„ასოციაციური რუკების“** მეთოდს. ეს თანამედროვე მეთოდი მაძლევს საშუალებას, გაკვეთილის დაწყებისთანავე, ჩავრთო მთელი კლასი სამუშაო პროცესში. გონებრივი იერიში კოლექტიური კრეატიული მეთოდია, რომლის მიზანია, რაც შეიძლება მეტი არასტანდარტული იდეის გამოთქმა და დაფიქსირება. მეთოდი მეხმარება იმის გარკვევაში, თუ რა ინფორმაციას ფლობენ მოსწავლეები კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით. მსგავსი მუშაობის ფორმა ეფექტურია, რადგან მოსწავლეებს ეძლევათ თანაბარი უფლებები აზრის გამოხატვის პროცესში. ისინი ხედავენ დაფაზე დაწერილ მათ მიერ გამოთქმულ ფრაზებს, არ ეშინიათ მასწავლებლის კრიტიკის. მსგავსი მარტივი აქტივობა ხელს უწყობს ლექსიკური ცოდნის გამოვლენას და მოსწავლეს კომუნიკაციაში მონაწილეობის კომპლექსს უხსნის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ზეპირი კომუნიკაციის განვითარებისთვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია **„როლური და სიმულაციური თამაში“**.

რა ფუნქცია აქვს თამაშს რუსული ენის გაკვეთილზე?

1. გასართობი ფუნქცია.

გაკვეთილი უფრო სახალისოა, იზრდება მოსწავლის მოტივაცია;

2. კომუნიკაციური.

მოსწავლე სწავლობს დიალოგურ ურთიერთობას.

ეს მეთოდი დადებითად მოქმედებს მოტივაციის ამაღლებაზე, ეხმარება მოსწავლეებს ნასწავლი ენობრივი კონსტრუქციების, ზეპირი მეტყველების გამოყენებაში. ასწავლის სხვადასხვა იმიტირებულ სიტუაციაში მონაწილეობას და პრობლემების გადაჭრას. მოცემული მეთოდი წარმოადგენს „სწავლას კეთებით“. როლური თამაში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდია, რადგან მოსწავლეს რუსული ენის პრაქტიკულ გამოყენებას ასწავლის, სასაუბრო გამოცდილებას აძლევს და არ არის ორიენტირებული ფრაზების მექანიკურ დაზეპირებაზე.

დღეს მოსწავლეს ხელში უჭირავს ფერადი, საინტერესო და სახალისო რუსული ენის სახელმძღვანელო. მასში უამრავი სურათია, კომიქსები, მოჰყვება სამუშაო რვეული და მოსასმენი დისკები. შეიცვალა სახელმძღვანელოს სტრუქტურა, თუმცა ბევრი ტრადიციული კომპონენტიც დარჩა, მაგალითად, მხატვრული ტექსტი, რომელიც მოსწავლეს აწვდის ინფორმაციას რუსულ კულტურასა და ტრადიციებზე. მსგავსი მიმართულების ტექსტები ფართოდაა წარმოდგენილი რუსული ენის სახელმძღვანელოებში. ტექსტის წაკითხვა, გაგება და გააზრება რთული პროცესია. მასწავლებლის მიზანი ისაა, რომ ტექსტის კითხვა მოსაწყენ აქტივობად არ იქცეს. კომუნიკაციური მეთოდი გვთავაზობს ტექსტის კითხვის აქტიურ მეთოდებს. რამდენიმე მათგანზე გავამახვილებ ყურადღებას:

„კოლექტიური კითხვა“. ტექსტის კითხვა იწყება გაკვეთილის ცენტრალურ ნაწილში. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს გაუჩნდეს ინტერესი ტექსტისადმი. კოლექტიური კითხვის მეთოდი, ამ თვალსაზრისით, ძალიან ეფექტურია. მე ვკითხულობ ტექსტის პირველ წინადადებას, მოსწავლეები კი რიგრიგობით აგრძელებენ ტექსტს ლოგიკურად დაკავშირებული წინადადებებით. ამგვარად, კლასი მოცემული მოთხრობის საკუთარ ვერსიას ქმნის და, ბუნებრივია, ყველას უჩნდება ინტერესი თუ რა ხდება სინამდვილეში. შემდგომ ეტაპზე კლასი იწყებს ტექსტის დამუშავებას ტრადიციული და ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით. ტექსტის კითხვა-თარგმნას თან ახლავს მეთოდი **„კითხვა პაუზებით“**, რომელიც კარგად ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას. *„რამ განაპირობა გმირის ამგვარი ქმედება?“, „როგორ გაგრძელდება მოთხრობა?“*... ეს მეთოდი ასწავლის მოსწავლეებს საკუთარი პოზიციის არგუმენტირებას, საკუთარი აზრის დაკავშირებას ტექსტის შინაარსთან. ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების შეხამება ხელს უწყობს ტექსტის დაწვრილებით დამუშავებას. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით, კითხულობენ და თარგმნიან ტექსტს. ამგვარად, მუშაობას, მიმართულებით „კითხვა“, კლასი კვლავ იწყებს კომუნიკაციით, რომელიც გრძელდება ტექსტის კითხვის დროს. ამ მეთოდის მიზანი და აზრი ისაა, რომ მოსწავლეები არა მხოლოდ კითხულობენ და თარგმნიან ტექსტს რუსულიდან ქართულ ენაზე, არამედ უსმენენ ერთმანეთს, გამოთქვამენ საკუთარ ვარაუდებს. ტრადიციული მეთოდისგან განსხვავებით (კითხვა-თარგმნა), თანამედროვე მეთოდის დახმარებით, ტექსტის კითხვაში ჩართულია მთელი კლასი.

ასევე, ტექსტის გარჩევის დროს, დადებითი ეფექტი აქვს **„ვენის დიაგრამას“**. ეს მეთოდი განსაკუთრებით კარგ შედეგს მაძლევს, როდესაც ვმუშაობ მიმართულებით „კულტურათა დიალოგი“. რუსულ და ქართულ ტრადიციებს შორის არის ბევრი მსგავსებაც და განსხვავებაც, რაც ყოველთვის საინტერესოა მოსწავლეებისთვის. გაკვეთილზე მსგავსი დიაგრამის შევსება მათთვის საინტერესოა და სახალისო. ამ აქტივობით ეცნობიან უცხო ქვეყნის კულტურას და პოულობენ საერთოს ქართულ კულტურასთან. ვენის დიაგრამასაც აქვს საკომუნიკაციო დატვირთვა: მუშაობის პროცესში მოსწავლეები აფიქსირებენ საკუთარ აზრს, გამოთქვამენ ვარაუდებს. ინტერაქტიულ მეთოდებს შორის დიდი ადგილი უკავია **პროექტებს** და **პრეზენტაციებს**. რუსული ენის გაკვეთილზე მიზანშეწონილია ორივე აქტივობის ხშირი გამოყენება, რადგან პროექტიც და პრეზენტაციაც შემოქმედებითი მიმართულებაა, რომელიც ხელს უწყობს კითხვის, წერის, მოსმენის, პრეზენტაციის უნარის განვითარებას. ეს აქტივობები პასუხობენ ინტერაქტიული მეთოდის მოთხოვნებს: მოსწავლე აქტიურადაა ჩაბმული საგაკვეთილო პროცესში, არის შემოქმედებითი და მოტივირებული. პროექტზე მუშაობისა და პრეზენტაციის დროს მნიშვნელოვანია რამდენიმე ეტაპის გავლა. ამ ეტაპებს ჩვენ განვიხილავთ კონკრეტულ მაგალითზე, რომელიც შევთავაზე ჩემს მოსწავლეებს პროექტის სახით „თბილისის რუსული თეატრი“.

პროექტზე მუშაობის სტადია	ნაშრომის შინაარსი კონკრეტულ სტადიაზე	მოსწავლეების აქტივობა	მასწავლებლის აქტივობა
მომზადება	თემა: გრიბოედოვის თეატრი. მიზანი: რუსული და ქართული კულტურის ურთიერთკავშირის დანახვა	მსჯელობენ პროექტის შინაარსზე მასწავლებელთან ერთად	ვაღვივებ მოსწავლეების მოტივაციას. ვეხმარები ინტერნეტრესურსების შერჩევაში
დაგეგმვა	ა) საინფორმაციო წყაროების განსაზღვრა ბ) ინფორმაციის მოძიების ხერხების დაზუსტება გ) შეფასების რუბრიკის შედგენა	ადგენენ სამოქმედო გეგმას	ვთავაზობ იდეებს, გამოვთქვამ საკუთარ მოსაზრებებს
კვლევა და მუშაობის შედეგი, დასკვნების გაკეთება	ინფორმაციის დამუშავება, კომპლექტაცია	ამუშავებენ მოძიებულ ინფორმაციას	ვაკვირდები მუშაობის პროცესს
პრეზენტაცია	ფორმის შერჩევა, ვიზუალური მასალა	უსმენენ, მსჯელობენ	ვუსმენ, დამაზუსტებელი კითხვებით ვადგენ მოსწავლეების კომპეტენტურობას
შეფასება		მონაწილეობენ შეფასებაში (ურთიერთშეფასება, თვითშეფასება)	ვაფასებ მოსწავლეებს შემუშავებული სქემის მიხედვით. ვაქცევ ყურადღებას პროექტის კრეატიულობას, მოძიებული ინფორმაციის ხარისხს, პრეზენტაციას

სწავლების პროცესი, რომელიც ეყრდნობა სწავლების ინტერაქტიულ მეთოდს, გულისხმობს მთელი კლასის ჩართულობას. ამ მიზნის მისაღწევად ძალიან ეფექტურია **ჯგუფური მუშაობა**, რომელშიც უნდა გამოჩნდეს ყველა წევრის ინდივიდუალობა. პროექტიც და პრეზენტაციაც შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც ინდივიდუალური მეთოდი, ისევე ჯგუფური. მუშაობის ჯგუფური ფორმა, მოსწავლეებს შორის, ქმნის გარკვეულ საგანმანათლებლო გარემოს, სადაც ყველა წევრი ურთიერთმოქმედებაშია. აქ გროვდება ცოდნა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, ხდება ურთიერთშეფასება. ჯგუფური მეთოდის უპირატესობა რუსული ენის გაკვეთილზე ისაა, რომ მოსწავლეები მუშაობენ ერთად და ასწავლიან ერთმანეთს, უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, ერთად ეძებენ საუკეთესო გამოსავალს.

ბოლოს დავამატებდი, რომ ენის შესწავლის საუკეთესო ხერხად მიმაჩნია სხვადასხვა მეთოდის – როგორც ტრადიციული, ასევე თანამედროვე – გააზრებული ურთიერთკავშირი.

იულია ტერ-მიქაელიანი
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის
რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ტ. აგლაძე, გ. გოლეთიანი, ი ჭოხონელიძე, „რუსული ენა“; თბილისი, 1980წ.
2. მ. რევია, „რუსული ენა“ ს 2-ს 7; თბილისი, 2012წ.
3. ლ. ლ არიონოვა, „რუსული ენის სწავლების მეთოდიკა“; მოსკოვი, 2010წ.

სამოდელო გაკვეთილი

ძაღლი ადამიანის მეგობარია

გაკვეთილის გეგმა VI კლასში
ქართულ ენასა და ლიტერატურაში

გაკვეთილის ავტორი	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი – შორენა გვენეტაძე
გაკვეთილის თემა	ძაღლი ადამიანის მეგობარია – „გულადი მებრძოლი“, ლიზა თრომბაუერის მოთხრობის მიხედვით. წიგნი მომზადებულია G-PriEd-ის ჯგუფის მიერ.
სწავლების საფეხური/საგანი	დაწყებითი VI კლასი/ქართული ენა და ლიტერატურა
მოსწავლეთა რაოდენობა	16 მოსწავლე, სსსმ მოსწავლე არ არის.
აქტივობების მიზნები (გაკვეთილის)	✔ შეძლონ წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება კითხვის სტრატეგიების – „დაუსვი შენს თავს შეკითხვები“, „ხუთი კითხვის“ გამოყენებით. ✔ ლექსიკური მარაგის გამდიდრება. ✔ მიღებული ინფორმაცია და ცოდნა გამოიყენონ ზეპირ და წერით აქტივობებში.
წინარე ცოდნა	იციან მხატვრული ტექსტის სტრუქტურა, გამომუშავებული აქვთ ტექსტის გაგება-გააზრებისათვის საჭირო უნარები, ფლობენ ტექსტის შინაარსის გასაგებად საკმარის ლექსიკურ ერთეულებს.
მისაღწევი შედეგები, ინდიკატორები (საგნობრივი სტანდარტი)	**ქართ. VI. 2. მოსწავლეს აქვს მხატვრული ტექსტის გააზრებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დეტალების შეფასების უნარი.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • ასახელებს მისთვის აზრობრივი და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ეპიზოდებს, გამონათქვამებს და ახდენს მათ ინტერპრეტირებას; • აფასებს პერსონაჟების ქმედებას კონფლიქტურ, წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონე ეპიზოდებში; • მსჯელობს ნაწარმოებში განვითარებულ მოვლენებზე სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან; • მსჯელობს ტექსტში გამოკვეთილ ცალკეულ მოვლენებსა და ფაქტებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე; • ირჩევს ტექსტში ასახული კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის შეთავაზებულ ალტერნატიულ ვარიანტებს შორის, მისი თვალსაზრისით, საუკეთესოს; • სთავაზობს აუდიტორიას ნაწარმოებში გამოკვეთილი კონკრეტული პრობლემის გადაჭრის საკუთარ ვერსიას. **ქართ. VI. 10. მოსწავლეს აქვს კითხვის პროცესით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემის უნარი.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • ამოკრებს ტექსტიდან აზრობრივი თვალსაზრისით მისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო ადგილებს; • სვამს კითხვებს წაკითხული ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით. **ქართ. VI. 13. მოსწავლეს შეუძლია კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის მიზნობრივად გამოყენება.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • კითხვისას წამოჭრილი სირთულეების დასაძლევად მიმართავს სხვადასხვა საშუალებას: თავიდან გადაიკითხავს რთულ ან მნიშვნელოვან ნაწილებს, აკეთებს ჩანაწერებს, კომენტარებს უკეთებს ტექსტის ცალკეულ ნაწილებს; კონტექსტზე, გამოცდილებაზე დაყრდნობით ან ლექსიკონის დახმარებით აზუსტებს უცხო სიტყვების მნიშვნელობას; • სხვადასხვა ელემენტის (სათაურის, აბზაცების დასაწყისის, საკვანძო სიტყვების, ერთ-ერთი აბზაცის, გამოყოფილი სიტყვების) გამოყენებით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის/ტექსტების მონაკვეთის შინაარსის შესახებ; • აანალიზებს თანატოლების მიერ შესრულებულ საკითხავ დავალებებს – განარჩევს სწორ და მცდარ პასუხებს; ხსნის, რატომ ვერ გასცა მოსწავლემ სწორად პასუხი, რა ვერ გაიგო, რატომ შეცდა იგი და სხვ. **ქართ. VI. 14. მოსწავლეს შეუძლია პიროვნული და შემოქმედებითი გამოცდილების გამოყენება წერის პროცესში; აქვს მხატვრული წარმოსახვის უნარი.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • სწორად აგებს ტექსტს კომპოზიციის ელემენტების გამოყენებით; • აკეთებს მოკლე წერილობით კომენტარს მისთვის მხატვრულად და აზრობრივად საინტერესო მონაკვეთების შესახებ; • საკუთარი განცდის, შთაბეჭდილების გადმოსაცემად ირჩევს მისთვის სასურველ მხატვრულ ფორმას; • ქმნის მისთვის აზრობრივად საინტერესო ეპიზოდის გაგრძელებისა და დასასრულის საკუთარ ვარიანტს. **ქართ. VI. 15. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მიზნობრივი ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • ავლენს ფაქტისადმი (მოვლენისადმი) საკუთარ დამოკიდებულებას; ახერხებს მის ემოციურ შეფასებას შესაფერისად შერჩეული ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების გამოყენებით; • საჭირო ენობრივი მასალის მოსაძიებლად იყენებს სხვადასხვა დამხმარე საშუალებას (სინონიმურ განმარტებებს, სიტყვათშეთანხმებებს, მყარ შესიტყვებებს, ფრაზეოლოგიზმებს; მუშაობს ლექსიკონზე...); • მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით, წინასწარ ამზადებს და თხზავს სხვადასხვა ტიპის მიძღვნით ტექსტებს (ამა თუ იმ თარიღთან დაკავშირებით წარმოსათქმელ სიტყვას, მეგობრისადმი მიძღვნილ სახუმარო ტექსტს, შარჟსა და სხვ.).
თანმიმდევრობა და დრო	**აქტივობა 1 – 2წთ.** პირველი ფაზა-შემზადება ტექსტთან სამუშაოდ: მასწავლებელი პროექტორით აჩვენებს სურათს, რომელზედაც გამოსახულია ძაღლი და კლასს უსვამს შეკითხვებს: რას ხედავთ სურათზე? ჰყავთ თუ არა შინ ძაღლი? მეგობრობენ თუ არა მასთან? დაფაზე ვიზუალური ეფექტისთვის აკრავს ძაღლის სურათს. **აქტივობა 2 – 3წთ.** მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, თავიანთი საყვარელი ძაღლი დაახასიათონ ათწინადადებიანი ტექსტით. **აქტივობა 3 – 2წთ.** რამდენიმე მოსწავლე (2-3) აკეთებს დაწერილი წერითი აქტივობის პრეზენტაციას. მასწავლებელი განმავითარებელ შეფასებას აძლევს მოსწავლეებს და, ამავდროულად, წაახალისებს მათ მონდომებას.
თანმიმდევრობა და დრო	**აქტივობა 4 – 1წთ.** მასწავლებელი დაფაზე აკრავს გაკვეთილის თემასა და მიზანს, გააცნობს მათ შეფასების რუბრიკას (დანართი 1). **აქტივობა 5 – 2წთ.** მასწავლებელი არკვევს, იციან თუ არა სიტყვის „გულადი“ განმარტება, ავსებენ დაფაზე სიტყვის პირამიდას. ამ სიტყვის გამოყენებით შეადგენენ წინადადებას (დანართი 2). **აქტივობა 6 – 2წთ.** მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად: წინასწარ დამზადებულ სამ ყუთში (რომლებზეც დაკრული აქვს ძაღლის ლამაზი სურათები) ჩაწყობილია მოსწავლეთა სახელები. მასწავლებელი იძახებს ჯგუფის ერთ-ერთ მოსწავლეს, რომელიც მასწავლებლის მაგიდიდან იღებს ყუთს, ხსნის და კითხულობს მოსწავლეთა სახელებს, მოსწავლეები პირველი ჯგუფიდან სხდებიან პირველ ჯგუფში, მეორეები – მეორეში და ა.შ. **აქტივობა 7 – 2წთ.** მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს ადაპტირებულ ტექსტს და სთხოვს გამოთქვან ვარაუდი: რა სახის ტექსტი გვაქვს ხელთ? რით განსხვავდება მხატვრული ტექსტი და საინფორმაციო ტექსტი ერთმანეთისაგან? **აქტივობა 8 – 3წთ.** მოსწავლეებს წყვილებში ურიგებს წასაკითხად ტექსტს და სთხოვს წაიკითხონ მეთოდით „დაუსვი შენს თავს შეკითხვები“. გააცნობს პოსტერს და ასევე მათ ეგზემპლარებს დაურიგებს ჯგუფებს. წაკითხვამდე აკეთებს კითხვის მოდელირებას. კითხულობს ტექსტის ერთ მონაკვეთს მოსწავლესთან ერთად. **აქტივობა 9 – 8წთ.** მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს წყვილებში, ხაზავენ გაუგებარ სიტყვებსა და ფრაზებს, რომლის მნიშვნელობის დაზუსტებაშიც მასწავლებელი ეხმარებათ ექსპლიციტური მეთოდით, კონტექსტის დახმარებით ან სინონიმებისა და ანტონიმების მნიშვნელობით. დასახმარებლად მოსწავლეები მასწავლებელს მიიხმობენ შუქნიშნის ფერების საშუალებით. **აქტივობა 10 – 6წთ.** წყვილებში წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები ჯგუფებში შეაჯერებენ მიღებულ ინფორმაციას და შეავსებენ ცხრილს „ხუთი შეკითხვა“ ვინ/რა? სად? რას შვება?/რა ქნა? როდის? რატომ? მუშაობის დაწყებამდე აკეთებს ცხრილის შევსების მოდელირებას ფორმატის ფურცელზე. **აქტივობა 11 – 4წთ.** ჯგუფები მუშაობის დასრულებას მასწავლებელს ამცნობენ მწვანე ბარათით, დაფაზე აკრავენ ნაშრომებს და აკეთებენ პრეზენტაციას. მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს ისეთ კითხვებს, რომელიც დაეხმარება მათ ტექსტის გააზრებაში და სწორი დასკვნების გამოტანაში. მუშაობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი ჯგუფების მუშაობას აფასებს რუბრიკის მიხედვით. **აქტივობა 12 – 3წთ.** მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ინდივიდუალურად, ძაღლზე დაწერონ ხუთსტროფიანი ლექსი (პირველ სტრიქონზე წერს თემასთან დაკავშირებულ ერთ არსებით სახელს, მეორე სტრიქონზე – ორ ზედსართავ სახელს, მესამეზე – სამ ზმნას, მეოთხეზე ოთხსიტყვიან ფრაზას, ხოლო მეხუთეზე – წერს სიტყვას, რომელიც შეიძლება გამოხატავდეს ლექსის იდეას). **აქტივობა 13 – 2წთ.** რამდენიმე მოსწავლე კითხულობს საკუთარ ლექსს კლასის წინაშე. მასწავლებელი შეაქებს ავტორებს, მოუწონებს მათ გრამატიკული ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას. **აქტივობა 14 – 2 წთ.** მოსწავლეები ავსებენ გასასვლელ ბარათებს, რომელიც შედგენილია რამდენიმე ვარიანტად; ინდივიდუალურად პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს და ტოვებენ მასწავლებლის მაგიდაზე. მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ მომდევნო გაკვეთილზე მიიღებენ უკუკავშირს შესრულებული დავალების შესახებ (დანართი 4). **აქტივობა 15 – 2წთ.** საშინაო დავალებად აძლევს გამოიყენონ წერის სტრატეგია „რაფთი“ და დაწერონ: 1. განცხადება, რომ ეძებენ დაკარგულ ძაღლს. 2.მიწერენ წერილს მეგობარს და დაუხასიათებენ თავიანთ საყვარელ ცხოველს. 3. ძაღლსაშენის დირექცია აკეთებს სარეკლამო განცხადებას, მათი მიზანია, ძაღლებს უშოვონ პატრონები. მოსწავლეები თავად აირჩევენ დავალების ტიპს და დაწერენ მომდევნო გაკვეთილისათვის. **აქტივობა 16 – 1წთ.** გაკვეთილის შეჯამება/შეფასება. მასწავლებელი აფასებს მოსწავლეებს რუბრიკის მიხედვით. მოსწავლეები აფასებენ გაკვეთილს. ასახელებენ აქტივობას, რომელიც ყველაზე მატად მოეწონათ.
შეფასება ფორმა – განმავითარებელი	ზეპირი კომენტარები • წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების უნარი. • ლექსიკური მარაგის საჭიროებისამებრ გამოყენების უნარი. • მიღებული ინფორმაციისა და ცოდნის გამოყენების უნარი ზეპირ და წერით აქტივობებში.
საკლასო მენეჯმენტი და საგანმანათლებლო რესურსები	ჯგუფებში, წყვილებში და ინდივიდუალური მუშაობა. შერჩეული მხატვრული ტექსტი G-PRID-ის საკითხავი წიგნი „გულადი მებრძოლი“ ლიზა თრომბაურის მოთხრობა, პოსტერი „დაუსვი შენს თავს შეკითხვები“, პოსტერი „ხუთი კითხვა“ კომპიუტერი, პროექტორი, თაბახის ფურცლები, დაფა, ცარცი. მეთოდები და სქემები აღებულია G-PriEd-ის პროექტიდან.

მოსწავლის გვარი და სახელი (შეიძლება დავაკვირდეთ კლასის რამდენიმე მოსწავლეს)	მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება. ტექსტს იაზრებს დონეების მიხედვით დასმული კითხვებით.	მოსწავლეს აქვს საკმარისი ლექსიკური მარაგი ტექსტის გასააზრებლად. უცხო სიტყვების ახსნას ცდილობს კონტექსტის მიხედვით.

დანართი 1.

სამოდელო გაკვეთილი

მოსწავლის გვარი და სახელი (შეიძლება დავაკვირდეთ კლასის რამდენიმე მოსწავლეს)	მოსწავლეს შეუძლია კორექტულად, ეტიკეტის დაცვით გამოთქვას საკუთარი მოსაზრება.	მეტყველებს გარკვევით და მკაფიოდ.	მსჯელობისა და ანალიზის საფუძველზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნები.

დანართი 2.

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	საშუალო 5-6	კარგი 7-8	საუკეთესო 9-10
ჯგუფის მიერ სამუშაოს გაგება	სამუშაოს მიზანი კარგად ვერ გააცნობიერა	სამუშაოს მიზანი გააცნობიერა	სამუშაოს მიზანი კარგად გააცნობიერა
ჯგუფის მიერ სამუშაოს დაგეგმვა	სამუშაო ვერ დაგეგმა და მისი საქმიანობა სტიქიური იყო	ჯგუფმა სამუშაო დაგეგმა, მაგრამ დროდადრო უხდებოდა გეგმიდან გადახვევა	ჯგუფმა სამუშაო კარგად დაგეგმა და შეასრულა გეგმით გათვალისწინებული ყველა პუნქტი
სამუშაოს ორგანიზება	სამუშაო არ იყო ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ გადანაწილდა	სამუშაო ორგანიზებული იყო, მაგრამ ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრადაა გადანაწილებული	სამუშაო კარგად ორგანიზებული იყო, ფუნქციები სწორად და თანაბრად გადანაწილდა
ჩართულობა	ერთი(ორი) მოსწავლე აქტიურობდა	ჯგუფის თითქმის ყველა წევრი აქტიურობდა	ჯგუფის ყველა წევრი აქტიური იყო



დანართი 3.

დანართი 4. **ქვიზი**

1. რას ნიშნავს სიტყვა გულადი?
ა) მამაცს ბ) ერთგულს გ) ბოროტს
სად გადავიდა სანდროს ოჯახი საცხოვრებლად?
ა) სოფელში ბ) რაჭაში გ) ხევსურეთში
რატომ უნდა გადასულიყვნენ სოფელში საცხოვრებლად?
ა) ქალაქის ჰაერს ვერ ეგუებოდნენ. ბ) იქ სასტუმრო ჰქონდათ. გ) ბაბუა ავად იყო.
2. რა არ უყვარდა სანდროს?
ა) კატები ბ) ძაღლები გ) ქათმები
რა შეემთხვა სანდროს ლისის ტბაზე?
ა) ძაღლმა უკბინა ბ) კინაღამ დაიხრჩო გ) ბიჭებმა სცემეს
რას ნიშნავს პიკნიკი?
ა) ბუნებაში გასეირნებას ბ) ხელის მოცარვას გ) სახლიდან გაქცევას
3. რატომ ეშინოდა სანდროს ძაღლების?
.....
რა მოუყვანა მამამ სანდროს?
ა) ძაღლი ბ) ცხვარი გ) პატარა კვიცი
სად წავიდნენ სათევზაოდ მამა-შვილი?
ა) რიონზე ბ) იორზე გ) არაგვზე
4. რა ჯიშის ძაღლი მოუყვანა მამამ სანდროს?
ა) კავკასიური ნაგაზი ბ) ციმბირული ჰასკი გ) ლაიკა
რა დაარქვა ძაღლს სანდრომ?
ა) ბომბორა ბ) პლუტო გ) არაფერი არ დაურქმევია
რატომ არ უყვარდა სანდროს ძაღლები?
.....
5. რისთვის წავიდა მამა-შვილი რიონზე?
ა) სათევზაოდ ბ) სათამაშოდ გ) სასეირნოდ
რა გამოვიდა ტყიდან თევზის სუნზე?
ა) მგელი ბ) აფთარი გ) დათვი.
რა გააკეთა ძაღლმა ცხოველის დანახვაზე?
.....
6. რითი შეაშინა დათვი სანდროს მამამ?
ა) დაიღრიალა ბ) ძაღლი მიუქსია გ) თოფი გაისროლა
რა დღე აყარა დათვმა ძაღლს?
.....
სად წაიყვანეს ძაღლი?
ა) ვეტერინართან ბ) იქვე დატოვეს გ) სახლში მიიყვანეს
7. რას/ვის მკურნალობს ვეტერინარი?
ა) ცხოველებს ბ) ადამიანებს
რა დაარქვა სანდრომ ძაღლს?
ა) გულადი ბ) მურა გ) ყურშა
რატომ აღარ ეშინოდა სანდროს ძაღლის?
.....
8. რატომ დაარქვა სანდრომ ძაღლს გულადი?
.....
ვინ მოარჩინა ძაღლი?
ა) ვეტერინარმა ბ) ბებიამ გ) დედამ
რის სუნზე გამოვიდა დათვი ტყიდან?
ა) ადამიანების სუნზე ბ) თევზის სუნზე გ) ისე გამოვიდა
9. რისთვის წავიდა მამა-შვილი რიონზე?
ა) სათევზაოდ ბ) სათამაშოდ გ) სასეირნოდ
რა გამოვიდა ტყიდან თევზის სუნზე?
ა) მგელი ბ) აფთარი გ) დათვი
რა გააკეთა ძაღლმა ცხოველის დანახვაზე?
.....

დანართი 5.

მისწერე მეგობარს წერილი და უამბე შენს საყვარელ ძაღლზე

ძაღლსაშენის დირექციის სარეკლამო განცხადება
(შეიძლება დახატოთ ძაღლი, რომლისთვისაც ეძებთ პატრონს)

დაწერეთ განცხადება დაკარგულ ძაღლზე

ადაპტირებული ტექსტი

გულადი მებრძოლი

ერთ მშვენიერ საღამოს, ვახშმობისას, მშობლებმა სანდროს გამოუცხადეს, ერთი წლით ზემო რაჭაში გადავდივართ საცხოვრებლადო. სოფელ სევაში, მდინარე რიონის მახლობლად, ბაბუას მიერ ხუთი წლის წინ გაშენებულმა ვენახმა იხარა. ბაბუამ ვენახის პირას სასტუმროც გახსნა და ოჯახიც იძულებული იყო, დახმარებოდა მოუსვენარ ხანშიშესულ კაცს.

სანდრო შეცბა. თბილისში ყველაფერი უყვარდა, რაჭაში კი რა მოელოდა, არავინ იცოდა.

სოფელში სამზარეულოს ფანჯრიდან რაჭის მთებსა და ტყეს გასცქეროდა.

მამის ერთი ახირება გუნებას კიდევ უფრო უმძიმებდა. მას ძაღლის ყოლა უნდოდა. სანდროს კი ძალიან ეშინოდა ძაღლების.

პატარა იყო, როცა ეს ამბავი მოხდა. მისი ოჯახი ლისის ტბაზე იყო პიკნიკზე. მწვადს შეექცეოდნენ, სუნზე გერმანული ნაგაზი გამოჩნდა. სანდრომ ხორცი გადაუგდო. მეორე ნაჭრის გადაგდება ვერც კი მოასწრო, ძაღლი ეცა და მკლავზე უკბინა. ეს დღე მწარედ დაამახსოვრდა და ძაღლებიც საბოლოოდ შეიძულა. მამა ფიქრობდა, რომ ძაღლის მოყვანით დაეხმარებოდა შვილს ძაღლების მიმართ შიშის დაძლევაში.

ერთხელაც მამამ ეზოში მანქანა შემოაყენა, კარი ღიმილით გამოაღო და მანქანიდან გადმოხტა ციმბირულო ჰასკი. სანდრო ამრეზით უცქერდა ძაღლის ყინულივით ლურჯ თვალებს.

ციმბირული ჰასკი ჭკვიანი ძაღლია, – უთხრა მამამ სანდროს, მაგრამ იგი ძაღლს არ ეკარებოდა. რამდენიმე კვირა გავიდა, ძაღლს სახელიც კი არ ერქვა.

– მოდი, კარგად გაიცანი და სახელი მერე შეურჩიე. ჯერ დაამტკიცოს, რომ შენთან მეგობრობა შეუძლია და სახელსაც უფრო ადვილად შეურჩევ, – უთხრა მამამ.

მეორე დღეს, დილაადრიან, სანდრო და მამა მანქანით მდინარეზე სათევზაოდ წავიდნენ. იმედი ჰქონდათ, რამდენიმე დიდ კალმახს დაიჭერდნენ.

სანდროს არც თევზაობა ეპიტნავებოდა და არც ძაღლთან ერთად გასეირნება მოსწონდა. თბილისზე და იქაურ მეგობრებზე ფიქრობდა.

იმ საღამოს, ვახშმის შემდეგ, როდესაც სანდრო და მამამისი კარავს შლიდნენ, ძაღლი მიეტმასნა. სანდროს შეეშინდა და უკან გახტა.

– ნუ გეშინია, უთხრა მამამ, გინდა გაჩვენო, ძაღლთან როგორ მიხვიდე? ძაღლმა ხელზე უნდა დაგყნოსოს, რომ შენი სუნი აიღოს. მამამ აჩვენა როგორ უნდა გაეკეთებინა ეს. ძაღლი მეგობრულად ეალერსებოდა მამას.

სანდრომაც სცადა ძაღლთან მიახლოება, მაგრამ, როცა ძაღლის ბასრ კბილებს და მოვარდისფრო ენას უყურებდა, მიახლოვებას ვერ ბედავდა, თუმცა იმას კი გრძნობდა, რომ ძაღლი კეთილგანწყობილი იყო მის მიმართ.

მეორე დღეს, სისხამ დილით, სანდრო და მამამისი მდინარეზე სათევზაოდ ჩავიდნენ. ძაღლი მათ წინ მირბოდა, მისმა ცელქობამ სანდროც გაამხიარულა.

სანდრო აკვირდებოდა ძაღლს და გრძნობდა, რომ ის მართლაც საყვარელი არსება იყო. უკვე აღარ ეშინოდა მისი. ძაღლი ეთამაშებოდა, გადაგდებულ საგნებს მასთან მოარბენინებდა. სანდროს აშკარად მოსწონდა ეს ძაღლი.

როგორც კი რიონს მიუახლოვდნენ, ძაღლი მაშინვე წყალში ჩახტა და თათებით ცდილობდა თევზების დაჭერას. მამა-შვილს ეცინებოდა. ძაღლმა ტანი გაიბერტყა და მათ წყლის წვეთები შეაფრქვია. სანდროს უნდოდა მიჰფერებოდა, მაგრამ კვლავ შიშმა აიტანა.

ითევზაევს. თევზი შეწვეს. სანდრო კმაყოფილი იყო. გემრიელი კალმახით დანაყრებული, სასიამოვნო ამინდით და არაჩვეულებრივი ბუნებით მოხიბლული სანდრო მამას თავის აღტაცებას უზიარებდა. უეცრად საღამოს მყუდროება ძაღლის ხავილნარევმა ყეფამ დაარღვია. იგი ტყისკენ იცქირებოდა. მამა-შვილმა ძაღლის მზერას თვალი გააყოლა და სული შეეკრათ. ტყიდან დიდი ყავისფერი დათვი გამოვიდა და მათკენ წამობაჯბაჯდა.

– ალბათ შემწვარი თევზის სუნი იყნოსა, – ჩაიჩურჩულა მამამ და შვილისკენ გაჩოჩდა, თან სამგზავრო ტომარაში იქექებოდა.

დათვი საჭმლის ნარჩენებისკენ დაიძრა და ამ დროს ადამიანის სუნი ეცა. ახლა პირდაპირ სანდროს და მამამისს უყურებდა. რამდენიმე ნაბიჯით ადამიანებს მიუახლოვდა. ძაღლის ღრენა გააფთრებულმა ყეფამ შეცვალა. სანამ დათვი ადამიანებს მიუახლოვდებოდა, ის სწრაფი ნახტომით დაეხა თავს. დათვი და ძაღლი ერთმანეთს ებრძოდა. ამასობაში სანდროს მამამ თოფი გადატენა და გაისროლა, დათვი სწრაფად წამოხტა და ტყისკენ გაძუნძულდა.

ძაღლი უძრავად იწვა მიწაზე, მამამ ჭრილობები გაუსინჯა. სანდროს ძალიან ებრალებოდა იგი.

– მგონი სუნთქავს, თქვა მამამ, – სასწრაფოდ ექიმთან უნდა წავიყვანოთ.

– ჩვენ გვიცავდა , – თქვა სანდრომ.

მანქანაში თავისი საბანი დააფინა, მამამ ძაღლი ზედ დააწვინა. სანდრომ საძილე ტომარა დააფარა და გვერდით მიუჯდა. მამას ერთი ვეტერინარი ეგულებოდა სოფელში. მის სახლამდე მისვლას ერთი საათი მოუნდნენ. სანდრო მთელი გზა ეფერებოდა ძაღლს, სულ თვალწინ უტრიალებდა როგორ იხსნა ძაღლმა ისინი.

ვეტერინარმა გულდასმით გასინჯა ძაღლი და სანდრო დააიმედა, შენი მეგობარი გადარჩებაო. ექიმმა ძაღლის სახელი ჰკითხა ბიჭს. მამას უნდოდა ეთქვა, ძაღლს სახელი არა აქვსო, მაგრამ სანდრომ დაასწრო: „გულადი“ – წამოიძახა ბიჭმა.

– „გულადი“, – გაიმეორა ექიმმა. რაც თქვენ მიამბეთ, ეს სახელი მართლაც რომ შეეფერება ამ ძაღლს, რომელიც დათვს შეებრძოლა თქვენს გადასარჩენად.

დასუსტებული ძაღლი უძრავად იწვა და თავი სანდროს მუხლებზე ედო. დროდადრო ახედავდა სანდროს ზაფხულის ცასავით თბილი თვალებით.

ჩვენ გამო დათვს შეებრძოლა! – უთხრა სანდრომ მამას. – მისი აღარასოდეს შემეშინდება.

შორენა გვენეტაძე
სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი და ფასილიტატორი

პედაგოგთა დასახმარებლად

მეტყველების განვითარება

მიღებულია ორგვარი მეტყველების განრჩევა: ზეპირი მეტყველება ანუ ზეპირმეტყველება და წერითი მეტყველება. მაგრამ ეს ორი არაა საკმარისი. ისინი კომუნიკაციური თეორიების ჩარჩოებშია გამოკვეთილი. უნდა დაემატოს მესამეც – გონებაში მეტყველება. როგორც პირველი და მეორე ზოგი რამით ერთმანეთს ჰგავს, ზოგით კი განსხვავდება, ისე მესამეც ზოგი რამით ჰგავს პირველს ან მეორეს, მაგრამ მრავალი მახასიათებლით იმდენად განსხვავდება მათგან, რომ ცალკე უნდა გამოიკვეთოს. მისი მთავარი თავისებურება ისაა, რომ ხშირად ფარულად და შეკუმშულად მიმდინარეობს – ფსიქოლოგიური გამოკვლევები აჩვენებს: მრავალია ისეთი სააზროვნო ამოცანა, რომლებშიც თითქოს არ მონაწილეობს მეტყველება. ისინი ბავშვისათვის ძნელია, რადგან მათი ამოხსნა მოითხოვს არა გაშლილ და გამოთქმულ, არამედ ფარულ და შეკუმშულ მეტყველებას; თავისთავად მეტყველება კი მაინც ვერ გამოირიცხება. ამასვე ჰგავს მეტყველება სიზმარში.

გონებაში მეტყველება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებით კლასებში გრამატიკის საწყისების სწავლებისას, რადგან გრამატიკული საკითხების, ცნებებისა თუ ამოცანების გააზრება (სწორედ გააზრება და არა მიხვედრა), როგორც წესი, სწორედ მისი საშუალებით ხდება. გონებაში მეტყველების განვითარების ალბათ ერთადერთი გზა – ესაა ზეპირი მეტყველების თანდათანობითი გაშინაგნება. ამას კი, თავის მხრივ, უნდა დაემყაროს წერითი მეტყველება. ესე იგი: მეტყველებათა განვითარების ბუნებრივი გზის სქემა



უფრო მეტიც, როგორც აჩვენა სპეციალურმა აპარატურამ, ზრდასრული ადამიანიც კი გონებაში აზროვნების დროს თითქმის ბუტბუტებს – მისი სახმო სიმები თურმე ოდნავ მაინც ირხევა! ზოგს კი აზრის ჩამოყალიბებაში ძალიან ეხმარება მისი ხმამაღლა წარმოთქმა, საკუთარ თავთან საუბარი (ამაზე კარგი ხუმრობაა – „მიყვარს ჭკვიან ადამიანებთან საუბარი!“).

ეს ყოველივე განსაკუთრებით საჭირბოროტოა დაწყებით კლასებში, ყველაზე მეტად კი I კლასის პირველ თვეებში. ამ დროს მცდარი მეთოდებით სწავლებისას საფუძველი ეყრება არა ბავშვის გონების განვითარებას, არამედ, პირიქით, მის დაჩლუნგებას. მაგ; ფრიად გავრცელებულია სქოლასტიკური ზეპირობა ან ასაკობრივად შეუსაბამო სიტყვების რახარუხი, წერისა და უცხო ენის შესწავლის ნაადრევი დაწყება.

სქემიდან ჩანს, რომ ყოველგვარი მეტყველებისა და აზროვნების პირველსაფუძველია ზეპირი მეტყველება. ცხადია, ესაა მეტყველება მშობლიურ ენაზე. სწორედ ამიტომ ანიჭებდნენ პედაგოგიკის კლასიკოსები უპირველეს მნიშვნელობას მშობლიური ენის სწავლებას. თუკი ბავშვის გონებამ არ გაიარა სქემაზე გამოსახული ბუნებრივი გზა, იგი ვერ განვითარდება. კერძოდ, I კლასის ასაკში, როცა არაა ჩამოყალიბებული გონებით მეტყველება, თუკი ბავშვი არ მეტყველებს (ხმამაღლა ან ჩუმად) და არც ბუტბუტებს – ის არ აზროვნებს. თუკი ეს უაზროვნო მდგომარეობა გახანგრძლივდება (როცა გასუსული პირველკურსელები წერენ ან მასწავლებელს შესცინცინებენ, ან გაუაზრებელ ფრაზებს იმეორებენ, ან „თანამედროვე მეთოდებით“, მშობლიური ენისა და მათემატიკის გაკვეთილებზეც ძირითადად მხოლოდ ჯგუფური ხატვა-გამოჭრა-თამაშებით არიან დაკავებულნი), მაშინ იწყება აზროვნების ატროფირება. მაგრამ მოსწავლის ჩუმი მეტყველების ან ბუტბუტის შესწორება და დახვეწა შეუძლებელია. ამიტომ მოსწავლემ სწორედ ხმამაღლა უნდა იმეტყველოს და მასწავლებელმა ისევ და ისევ, დაუღალავად, უნდა შეუვსოს, შეუსწოროს, დაუხვეწოს ნათქვამი, მოსწავლემ კი აუცილებლად ისევ ხმამაღლა უნდა გაიმეოროს (სხვათა შორის, ესაა აგრეთვე უცხო ენის სწავლების ერთადერთი ნაყოფიერი გზაც). აგრეთვე აუცილებელია ისიც, რომ, როცა მოსწავლე დაფასთან წერითა თუ ხატვით ატარებს რაიმე მოქმედებას (მაგ.: არითმეტიკულ გამოთვლას ან სიტყვის დაშლას), მან ყველა მოქმედება გაახმიანოს (მაგ.: „აქ დავწეროთ წერტილი, ეს გადავიტანოთ მომდევნო სტრიქონში...“).

პარალელურად, სკოლის დამთავრებამდე, განუხრელად და შეუნელებლად უნდა ვითარდებოდეს, თავისი საკუთარი გზით, ზეპირი მეტყველებაცა და წერითი მეტყველებაც, რაც შეადგენს მშობლიური ენის 12-წლიანი სწავლების მთავარ მიზანს. უფრო კერძოდ კი, ორივე ეს მიმართულება განეკუთვნება რიტორიკას. ენის რაობა, ენა და აზროვნება, მშობლიური ენის სწავლების მნიშვნელობა – ენის რაობა ღრმა თეორიული საკითხია, რომელიც ერთ-ერთი უმთავრესია ჰუმანიტარულ მეცნიერებაში. მას უშუალოდ უკავშირდება მშობლიური ენის სწავლების საფუძვლებიც, კერძოდ, დაწყებით კლასებში მშობლიური ენის სწავლების პროგრამა და მეთოდიკა.

ლ. ვიგოტსკის თეორიაში აზროვნება განუყოფელია მეტყველებისგან, აზროვნების განვითარების მთავარი წამყვანი და მაჩვენებელი – ენობრივ უნართა განვითარებაა. მაგ.; საშუალოდ 2-3 წლის ბავშვი რამდენიმესიტყვიან წინადადებებს წარმოთქვამს, იწყებს რთულ წინადადებათა ჩამოყალიბებასაც, ოღონდ წინადადებებს ძირითადად მხოლოდ თანწყობით აკავშირებს, ანუ „და, ჰოდა, კიდევ“ კავშირებით; საშუალოდ 3-4 წლისთვის თანდათან იწყებს ქვეწყობით დაკავშირებასაც, ესე იგი დამოუკიდებელ წინადადებათა ჩამოყალიბებას – ხვდება არა მარტო აზრების ლოგიკურ დამოკიდებულებას, არამედ იმასაც, რომელია მთავარი და რომელი – დამოკიდებული. თუმცა თვით ამ ლოგიკურ მიმართებათა წვდომა ყველაზე მეტად სწორედ მეტყველებას ემყარება – ბავშვი ჯერ ენით ეუფლება ლოგიკას (როცა ისმენს ზრდასრულთა საუბრებს, ლექსებს და ზღაპრებს, თან ფრაზებს თვითონაც იმეორებს) და შემდეგ – აზროვნებით. ბავშვს ცნობიერების ჯერ მხოლოდ საწყისები უვითარდება, მისი მეტყველება ძირითადად წაბაძვითია.

ასევე დაწყებითი კლასის მოსწავლის აზროვნების განვითარების მთავარი გზაც სრულ წინადადებათა ჩამოყალიბებაა, წინადადებათა – ანუ აზრების – თანდათანობითი გართულებით. ამიტომაა, რომ მოყოლილი ტექსტების („ბებოს ზღაპრების“) მოსმენა აზროვნების განვითარებას ძლიერ უწყობს ხელს – ბავშვს მოსმენილი ტექსტი გონებაში წარმოდგენილ სურათებად („ფილმებად“) გადაჰყავს და სწორედ ესაა აზროვნების გავარჯიშება ნივთიერ-ხატობრივ დონეზე. ხოლო ეკრანზე (საზოგადოდ სურათებზე) მიჯაჭვა აჩლუნგებს ადამიანის ენობრივ უნარებს და ესე იგი, აზროვნებასაც. ვიგოტსკი წერდა: თუმცა თანდაყოლილი სიბრმავე ბიოლოგიური თვალსაზრისით გაცილებით მძიმე ნაკლოვანებაა, ვიდრე სიყრუე, მაგრამ გონებრივ-პიროვნული განვითარებისთვის პირიქითაა. და კიდევ: როცა საშუალო პირველკლასელი არ მეტყველებს, ის არ აზროვნებს. ცნებითი აზროვნება გაშინაგნებული, ინტერიორიზებული მეტყველებაა.

ამიტომ სწავლების ტრადიციული მეთოდები ბავშვის აზროვნების განვითარებისთვის დამანგრეველია. ოჯახში – ეკრანი და დედასთან ურთიერთობის ნაკლებობაა, სკოლაში – გაჩუმება, ზეპირობა, წერა და უცხო ენა... საბრალო ბავშვის სული დოლაბის ქვებში ისრისება.

ჟ. პიაჟეს თეორიაში ლოგიკური აზროვნების („ლოგიკური სტრუქტურების“) საფუძველია სენსომოტურული სქემების, ანუ ფიზიკურ მოძრაობათა სქემების ინტერიორიზაცია. ლოგიკური სქემა – ესაა განყენებული სენსომოტურული სქემა. ლ. ვიგოტსკი ამას არ უარყოფს – ლოგიკური სქემების მთავარი საფუძველია ინტერიორიზებულ – განზოგადებული სქემები – ოღონდ მართებულად დასძენს: არამარტო და არაიმდენად სენსომოტორული სქემები, რამდენადაც წინადადების აგების სქემები (გრამატიკული სტრუქტურები), რომლებსაც ბავშვი გაუცნობიერებლად, პრაქტიკულად ითვისებს. თანდათანობით ითვისებს, იმეორებს რა უფროსთა ფრაზებს, იმახსოვრებს მათ და შემდეგ, ენობრივი ანალოგიით, გუმანით ახალ ფორმებსაც კი აწარმოებს თვითონ, შემოქმედებითად; მათ შორის ენაში არარსებულ ფორმებსაც კი ქმნის [ქვემორე].

ჟ. პიაჟემ სკოლამდელი ასაკის ბავშვის მეტყველება ეგოცენტრიზმის ცნებით დაახასიათა: ყრმა ხშირად ტიკტიკებს ან ბუტბუტებს ეგოცენტრულად, ანუ მხოლოდ საკუთარი თავისთვის. გარდა ამისა, მისი ნალაპარაკევი, სხვებისთვის მიმართული, ხშირად სხვებისთვის გაუგებარია, რადგან თავკერძულია. მაგ.: – ჩქარა მომიტანე პლა-პლა! – რაა? სადაა? – იქ! ჩქარა მომიტანე! ანდა წინადადებაში გამოტოვებს ქვემდებარეს ან დამატებას, ან მათ ნაცვალსახელით ჩაანაცვლებს, მაგრამ მსმენელისთვის კონტექსტიდან სრულიად გაუგებარია, თუ რას მიემართება ეს ნაცვალსახელი. მაგ.: – მომცა. – ვინ მოგცა? – იმან. – ვინ იმან? – აი იმან! ბავშვი (ხშირად ზრდასრული ადამიანიც) სხვისთვის გაუგებრად მეტყველებს, ან გაუგებრად წერს და მერე ბრაზდება: – როგორ ვერ გაიგე!?

დ. უზნაძის თანახმადაც, საკუთარ თავთან ეგოცენტრული საუბარი ანუ ბუტბუტი, რომელსაც არავითარი ურთიერთობის მიზანი არა აქვს, ყველაზე მნიშვნელოვანია 2-4 წლის ბავშვისთვის, ანუ სწორედ იმ ასაკში, როცა ბავშვი ყველაზე მეტად ეზიარება ენასა და ენობრივ სამყაროს.

სხვათა შორის, თავკერძული მეტყველების ერთი სახეობა ზრდასრულთა შორისაც ხშირია: ამბის უთავბოლო თხრობა – დაწყება არალოგიკურად, არამედ შუიდან, თავისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და თვალშისაცემი ნაწილით, რომელიც მსმენელისთვის გაუგებარია, რადგან მას დასაწყისი არ მოუსმენია (თვითონ მთხრობელმა ხომ იცის მართებული თანმიმდევრობა: ამირან გულში მღეროდა და – ძმანო, ბანი მითხარითო!). გარდა ამისა, ამბის თხრობაში ისეა ჩართულ-ჩახლართული პირადი განცდები, რომ მსმენელს უარესად ებნევა აზრები. მაგ.: აღგზნებული, თმაგაჩეჩილი და დასვრილი ბიჭი შინ დაბრუნდა და დედას უყვება : – მე იმან პირველმა დამარტყა! მერე მეც ისა სამაგიერო... მოვდიოდი და კიდევ ისე მეძახდა, დამპალო და მყრალოო... არაო, მაინც... მერე მეც დავარტყი. ჰოდა ჩემი ბრალი არ არის! გიორგი და ვაჟა გაიქცნენ, იქ იყო ბექა... აბა რა ჩემი ბრალია!? აი რომ მივდიოდი იქა, იმან დამიძახა...

ანდა: ჰყვება, ჰყვება, ჰყვება, მაგრამ მსმენელს არაფერი რჩება. მრავალია წიგნი, რომელსაც კითხულობ, კითხულობ, მაგრამ ბოლოს არაფერი გრჩება: „წყალივით“ ფუჭი ანდა ტვინის საჭყლეტი ტექსტები. ზრდასრულთა თავკერძული მეტყველების კიდევ ერთი მაგალითი: ჰყვებიან რაღაც ამბავს, მაგრამ ამ დროს საკუთარ თავზე უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე მოსაყოლ ამბავზე; ეს გარდაცვლილის ხსოვნისადმი მიძღვნილ შეკრებებზეც კი ხდება ხოლმე.

საშუალოდ 5 წლიდან ბავშვი ნელ-ნელა იწყებს საუბარში თავკერძობის ძლევას, დეცენტრაციას ანუ მსმენელის გათვალისწინებას. მაგ.: ძველებურად იწყებს ნაცვალსახელებით, მაგრამ მიხვდება, რომ მსმენელისთვის ასე გაუგებარია, ამიტომ მოაყოლებს ამხსნელ არსებით სახელსაც: – ბურთი იმან მომცა, იმან, მეზობელმა. ცხადია, ამისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს უფროსთა ხშირ დამაზუსტებელ შეკითხვებს. მაგრამ სანამ ბავშვის გონება საამისოდ არაა მომწიფებული, დამაზუსტებელი შეკითხვები მას აბნევს და აღიზიანებს [მ. უთურგაიძე].

ვიგოტსკიმ დააზუსტა და შეავსო პიაჟეს შეხედულებანი ბავშვის მეტყველების ეგოცენტრიზმის შესახებ, რომლებიც თითქმის არ ითვალისწინებს სოციალურ ურთიერთობებს. ვიგოტსკიმ სამი საფეხური გამოკვეთა:

I. პრიმიტიული სოციალური მეტყველება სხვა ადამიანთა ქცევაზე ზეგავლენის დანიშნულებით – 2-3 წლამდე; მაგ.: „მომეცი!“, „კარგია!“, „არა!“, „ნავიდეთ!“ მეტყველება უპირატესად ცალმხრივია: ბავშვიდან – უფროსისკენ. თუმცა პიაჟეესული ეგოცენტრული მეტყველებაც მნიშვნელოვანია: ჩვილიც კი იწყებს საკუთარ გრძნობათა სპონტანურ, „უმიზნო“ გამოხატვას ანუ ექსპრესიას: „აღუ!“, „გა“, „ტა-ტა-ტა!“...

II. სკოლამდელი ყრმის მეტყველება, რომელიც კიდევ უფრო მეტად შეიცავს ეგოცენტრულ მეტყველებას – ბავშვი ხშირად ელაპარაკება საკუთარ თავს, მეტყველებით ცდილობს საკუთარი ქცევის მართვას, ხშირად სიტყვიერად აყალიბებს იმას, რასაც აკეთებს (ზოგჯერ – მესამე პირშიც!), ყურადღების მისაქცევად ხმამაღლა ლაპარაკობს; ამის გარდა, ძალიან სიამოვნებს ტექსტების მოსმენა ამ ტექსტების შინაარსისგან დამოუკიდებლად (მაგ., ერთიდაიმავე ზღაპარს ან ლექსს მრავალჯერ წაკითხებს უფროსებს) – ამით ბავშვი ენობრივ ფორმებს ეუფლება, ხშირ-ხშირად იმეორებს მათ და ზოგჯერ ბრწყინვალე ნეოლოგიზმებსა თუ ახლებურ გამოთქმებს ქმნის (მაგ.: არ მინდოდა, შემთხვევით დამეფურთხა; მზე თბიური მნათობია; ასმათ დეიდას გვარი არაა გაჩეჩილაძე, მისი გვარია დავარცხნილაძე; წავდივართ, წადიან; მოვიღე (შდრ. წავიღე), ამოყლაპე, მოაქრეს (შდრ. გააქრეს), დამეფურთხა (უნებურად), გამეფუჭა (გამიფუჭდა)...

III. შინაგანი მეტყველება, რომელიც თანდათან ცნებით აზროვნებაში გადადის, დაწყებით კლასებში. სხვებთან ურთიერთობა უპირატესად აზრების – ანუ წინადადებების – ურთიერთგაზიარებით ხდება (საკმაო მნიშვნელობა აქვს არავერბალურ კომუნიკაციასაც, მაგრამ იგი მაინც მეორეხარისხოვანია).

დაწყებით კლასებში ცნებები უმცირესი რაოდენობით უნდა იყოს, თანაც – თვალსაჩინო საყრდენის მქონე ცნებები. მაგრამ ბავშვი ასეთ ცნებებსაც ვერ გაიაზრებს ლოგიკურ-ცნებითად. მაშ, დაწყებით კლასებში გააზრებაზე და ლოგიკურ მსჯელობაზე უარი უნდა ვთქვათ? არავითარ შემთხვევაში, პირიქით – ბავშვი სწორედ დაწყებით კლასებში უნდა მიეჩვიოს დაფიქრებას, აზროვნებას, მსჯელობას. უბრალოდ, ეს არ იქნება ცნებითი აზროვნება-ცნებების ნაცვლად ბავშვი განზოგადებულ სქემატურ ხატებებს წარმოიდგენს; ხოლო აბსტრაქტული ლოგიკური მსჯელობის ნაცვლად, იმ განზოგადებულ სქემატურ ხატებათა საფუძველზე, აზრობრივად გამართულ წინადადებებს ჩამოაყალიბებს, ჩურჩულით ან გონებაში (ზოგჯერ ლოგიკური დასკვნა შეეშლება, მაგრამ არა უჭირს). თუკი ბავშვი ამას I-II კლასებიდანვე არ მივაჩვიეთ, მერე და მერე უფრო გაძნელდება, ხოლო 10-12 წლის შემდეგ თითქმის შეუძლებელი გახდება (რადგან გაივლის ლოგიკურ-ცნებითი აზროვნების სენსიტიური პერიოდი).

როგორც ვიცით, თავკერძობის ძლევა არამარტო აზროვნების, არამედ ზნეობის განვითარების საფუძველიცაა. საამისოდ ძალიან კარგია „ვითომობანა“ ანუ როლური თამაშები, სხვა ადამიანების როლების გათამაშება და სათამაშოებისთვისაც როლების მინიჭება – „ეს ვითომ მწყემსია, ეს მისი შვილია...“ (მწყემსობანა, სახლობანა, სკოლობანა და სხვა მრავალი). სწორედ ეს უწყობს ხელს იმას, რომ ბავშვმა შეძლოს „აქ და ახლა“ კონკრეტულად მოცემულისგან და რეალური საკუთარი თავისგან განყენება, თავდაღწევა, პირველადი აბსტრაქცია. ასე არამარტო აზროვნებას, არამედ ზნეობასაც ეყრება საფუძველი: „ბავშვის საერთო გონებრივი განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია გააზრება, ვითარც არსის წვდომის უნარი და იგივე გააზრება, ვითარც სხვა ადამიანების განცდების გაგების უნარი“ (ლ. ვიგოტსკი). ამიტომაა, რომ ეკრანს მიჯაჭვული ადამიანი ცუდბალღური განუვითარებლობის, მოკლე ხედვის, უნდილობის, ინფანტილიზმის, თავკერძობის, გულცივობის დონეზე რჩება. ინგრევა მხატვრული ლიტერატურის უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც.

წინათ ეკრანი თითქმის არ არსებობდა, ხოლო სიტყვიერად მოთხრობილი (ან წიგნიდან უფროსის მიერ წაკითხული) ზღაპრები და მსგავსი ტექსტები კარგად ავითარებდა ბავშვის წარმოსახვასა და ენობრივ უნარებს, ქმნიდა საფუძველს შემდგომი გონებრივი და სულოვანი განვითარებისთვის. ამასთან, ბავშვი ადამიანური ურთიერთობის მადლსაც ეზიარებოდა. ეკრანი კი აუფასურებს მოყოლილ ზღაპრებს, რადგან მას მიჩვეული ბავშვი მოყოლილი ზღაპრით, ჯერ ერთი, აღარ ინტერესდება (გაცილებით წარმტაცა ამბებს ეკრანზე ნახულობს); მეორეც, გაცილებით ეადვილება მზამზარეული სცენების ყურება, ვიდრე სიტყვიერი ტექსტის გააზრება და წარმოდგენა. ამის გარდა, ეკრანიერ ბავშვს „ვითომობანა“ ანუ როლური თამაშები აღარ იზიდავს – ისევე როგორც ნარკომან ან აზარტული თამაშებით მოწამლულ მამაკაცს აღარც სპორტი იზიდავს, აღარც ოჯახი და აღარც საქმე. კიდევ ერთი „დოლაბის ქვა“ ბავშვის განვითარებისათვის: ეკრანს მიჯაჭვული (და აგრეთვე გარედან მოძრაობა შეზღუდული) ბავშვის სენსომოტორული აქტიურობაც სუსტდება, რაც ძალიან მავნებელია როგორც ჯანმრთელობისა და სხეულებრივი განვითარებისთვის, ისე ფსიქოლოგიურ-გონებრივი განვითარებისთვის. თვით ყველაზე განწმენდილ-დახვეწილი ეკრანიც კი წამლავს ბავშვის სულს – ბავშვი, რომელიც ცოტას მეტყველებს, ცოტას ისმენს მოყოლილ უსურათო ტექსტებს, ცოტას მოძრაობს, ცოტას თამაშობს „ვითომობანას“ – ყოველმხრივ დუნდება, სუსტდება, ავადდება და რობოტდება...

ზურაბ ვახანია

საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორი

geopsychology.org

სასკოლო აქტივობა

იაკობ გოგებაშვილის კვირეული საქართველოში

მიმდინარე წლის 20-27 ოქტომბერს ჩატარდა იაკობ გოგებაშვილის დაბადების 177-ე და გარდაცვალების 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი თემატური კვირეული.

რუსთავში, შევჩენკოს ქუჩის 5-ში მდებარე აკადემიური ქალაქის მე-4 კორპუსში, იქ, სადაც იაკობ გოგებაშვილის სახელობის მუზეუმი და პედაგოგთა კავშირის ადმინისტრაციაა განთავსებული, მთელი თვის განმავლობაში, არ შეწყვეტილა ქვეყნის რეგიონებიდან მოსწავლე-მასწავლებელთა ნამუშევრების გამოგზავნა.

კვირეულის დევიზი იყო იაკობ გოგებაშვილის ციტატა: „ახალი საქართველო მოქცეულ უნდა იყოს წინ, ევროპისაკენ!“

კვირეულის მონაწილეებს ისეთი ნამუშევრები უნდა შეექმნათ, რომელიც წარმოაჩენდა იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიის და მემკვიდრეობის ცოდნას, ეროვნულ განწყობას, დედა ენით დაინტერესებას, საქართველოს წარსულისადმი პატივისცემას და სხვ. მისასალმებელია, რომ კვირეულს, საქართველოს მასშტაბით, სკოლათა დიდი უმრავლესობა გამოეხმაურა.

განსაკუთრებით იაქტიურეს აჭარის, გურია-სამეგრელოს, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის რეგიონებმა, თბილისის 76-ე, 142-ე, 145-ე, 172-ე საჯარო სკოლებმა. ნომინაციების მიხედვით, იაკობ გოგებაშვილის მედალი დაიმსახურა თბილისის სსიპ 142-ე საჯარო სკოლამ (დირექტორი – **შორენა ცნობილაძე**); ნომინაციაში „საუკეთესო კლას-კაბინეტი“ საუკეთესო იყო ქ. წყალტუბოს მე-3 საჯარო სკოლა (დაწყებითი კლასის პედაგოგი – **ნატრული კვერნაძე**);

საკონფერენციო თემებს შორის საპატიო სიგელი დაიმსახურა გურჯაანის მე-2 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგმა, **მაია ჯოხაძემ**. გამორჩეული იყო გორის რაიონის სოფელ ტინისხიდის საჯარო სკოლა, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ერტისის, დაბა მანგლისის, ოზურგეთის სოფელ ბოხვაულის, ქალაქ ფოთის მე-8, საჩხერის მე-2, ჩოხატაურის რაიონის სოფლების – წიფნარის, კოხნარის, ბასილეთის, ირაკლი აბაშიძის სახელობის სოფელ ხონის, ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის მე-11, მე-14, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა გარეჯვრის, ახალციხის მე-2 საჯარო სკოლები.

ქართული ანბანისადმი ემოციური დამოკიდებულება საინტერესოდ გამოხატა აფხაზეთის 21-ე საჯარო სკოლის (ქ. ფოთი) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, **მანანა ურიდიამ;**

შეუძლებელია ცრემლების გარეშე წაკითხვა წალენჯიხის რაიონის სოფელ მიქავას საჯარო სკოლის მეცხრეკლასელი მოსწავლის, **ნინო კვრაცხელიას** ჩანახატის „ჩვენ დავბრუნდებით“, რომელშიც გადმოცემულია აფხაზეთის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი და დაბრუნების იმედი;

მოსწავლე **ვალერი გოგიჩაშვილს** კარგად შეუსწავლია არნოლდ ჩიქობავას, აქვსენტი ცაგარელის, გიორგი ჯიბლაძის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, გერმანელი ქართველოლოგის ვინფრიდ ბოედერის კვლევები იაკობ გოგებაშვილის შესახებ;

ილია ჭავჭავაძის სახელობის საჩხერის მე-2 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე **ნინო ყიფიანი**, თავის ჩანახატში „სიზმარი“, აღწერს, როგორ დაესიზმრა მეფე დავითი და როგორ დაიმედა, რომ საქართველო გაერთიანდება რწმენითა და უფლის სიყვარულით. „ღმერთო, ამიხდინე ეს სიზმარი!“ – ასე ამთავრებს თემას ავტორი;

თბილისის 142-ე საჯარო სკოლის პედაგოგის, მაყვალა **გერმანოზაშვილის** შემოქმედებაში სამშობლოს სიყვარულისა და თავისუფლების თემაა წამოწეული:

„მთვარეულივით გამოანათებს
ცის კაბადონის მნათე...
თავისუფლებავ, სიზმრისეულო,
ჩემს ქვეყანაში გნახე!“

ნიკო ნიკოლაძის სახელობის ქ. ფოთის მე-2 საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელ **ანა ღვამბერიას** მიაჩნია, რომ საქართველოსთვის ევროპულ სივრცეში ყოფნა აუცილებელია და, რომ საქართველო დღესაც ცივილიზაციათა გადაკვეთის ისტორიული ადგილია;

გორის მუნიციპალიტეტის, პატარა გარეჯვრის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე **მარიამ მეზვრიშვილი** ოცნებობს, რომ *„ევროპული საქართველო ჩემთვის იყოს საწინდარი პიროვნული გაზრდის, ჩემს ხალხზე ზრუნვის, მოვალეობის აღქმის, ქვეყნის კეთილდღეობისათვის, წარსულის, აწმყოსა და მომავლის დაცვის შთამაგონებელი!“;*

ევროპულ მომავალს ეხმაურებიან თავიანთ ნახატებში გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კრწანისის საჯარო სკოლის მოსწავლეები. გამორჩეული იყო რუსთავის მე-14, მე-18, 21-ე, 26-ე, მე-5 საჯარო სკოლების, კერძო სკოლის „მზეკაბანი“ მოსწავლეთა ნამუშევრები.

კვირეული დამთავრდა, მაგრამ მისი სულისკვეთება ისევ იგრძნობა ჩვენი ქვეყნის ყველა სკოლაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველი ერის ღირსეული წინაპრის მიერ გაკვალულ ეროვნული ცნობიერების გზას უამრავი მიმდევარი ჰყავს.

ლეილა გეგეშიძე
საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ქვემო ქართლის რეგიონის პედაგოგთა საზოგადოების თავმჯდომარე

სპორტი

ოლიმპიელთა სკოლა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თავისი ახალი პროექტის ფარგლებში, რომელიც სასწავლო დაწესებულებებში სპორტის გაკვეთილების რეფორმას ისახავს მიზნად, აგრძელებს ოლიმპიურ ჩემპიონთა ვიზიტებს თბილისის საჯარო სკოლებში. ამჯერად 103-ე საჯარო სკოლას საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი, ტყვიის სროლაში ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის სამგზის გამარჯვებული პირადში, მსოფლიოს არაერთი რეკორდისა და მიღწევის მფლობელი **ნინო სალუქვაძე** ესტუმრა. თუმცა ის არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს სპორტშია გამორჩეული ფიგურა, რადგან 8 ოლიმპიადის მონაწილეს შეუძლია, აბსოლუტურ რეკორდზე წავიდეს, რაც 10 თამაშებს მოიცავს.

სკოლაში ასეთი სახელოვანი სპორტსმენის სტუმრობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ხელცარიელნი არც პატარა მასპინძლები დახვედრიან მიმსვლელს და, ისევ ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ოლიმპიზმის შესახებ სხვადასხვა პროექტები დაახვედრეს სალუქვაძეს. თემატიკა მრავალფეროვანი იყო: ოლიმპიზმის ისტორია; თანამედროვე ოლიმპიადები; ქართველი ოლიმპიელები და სხვა. ამ თემებზე საუბრისას სტუმარ-მასპინძელი საინტერესო დისკუსიაშიც შევიდა ერთმანეთთან, სალუქვაძემ გაიხსენა თავისი სპორტული კარიერა, ბავშვებმა კი თავიანთი შემოქმედება წარმოადგინეს.

ამ დღეებში 114-ე სკოლასაც ესტუმრნენ ოლიმპიური ჩემპიონები. ამჯერად – ძალოსნები: რიო დე ჟანეიროს თამაშების გამარჯვებული, მსოფლიოს ორგზის და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს რეკორდსმენი **ლაშა ტალახაძე** და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ასევე ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **გიორგი ასანიძე**.

ახალი ფესტივალი

2019 წლიდან საქართველოში, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, საქართველოს ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „მომავალი ოლიმპიელები“ ჩატარდება. ამის შესახებ დადგენილება, 22 დეკემბერს გამართულ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო სესიაზე მიიღეს, მეტიც – ეს თემა ყრილობის 5-პუნქტიან სამუშაო გეგმაში ერთ-ერთ მთავარ საკითხად იყო შეტანილი. ყრილობაზეც ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო, სესიამ ამ ახალი სპორტული ღონისძიების ორგანიზებაში დახმარებისთვის იქვე მიმართა საქართველოს მთავრობას. ეს იქნება უკვე კარგად აპრობირებული და საერთაშორისო მასშტაბებზე გასული ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის ქართული ანალოგია, რომელიც ევროფესტივალის წინა თვეში ჩატარდება. ვადების გარდა, მათ სხვაც ბევრი რამ ექნებათ საერთო: გახსნა-დახურვის საზეიმო ცერემონიალი აქაც გაიმართება და აღლუმიც მოეწყობა, გუნდები ჩვეულებრივ ჩაივლიან მაყურებელთა წინაშე; მონაწილეთა ასაკიც იგივეა – 14-17 წლის მოზარდები, ანუ უფროსი ასაკის მოსწავლეები იასპარეზებენ. გათამაშდება მედლების 130 კომპლექტი, მონაწილეთა რაოდენობა კი 1500-მდე იქნება.

ახალი ფესტივალის მიზანი იქნება: სასკოლო და ბავშვთა სპორტში არსებული სერიოზული პრობლემების დაძლევა, ქალაქებსა და სოფლებში, რეგიონებში მასობრივი სპორტის განვითარება, სპეციალიზებული სპორტული სკოლების როლისა და მნიშვნელობის ამაღლება, მათი საქმეების კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირება, მოტივაციის გაზრდა მუნიციპალიტეტებისა და ადგილობრივი ადმინისტრაციების დონეზე, კონტინენტალური და მსოფლიო ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშებისთვის რეზერვების მომზადება.

ახალ ფესტივალთან დაკავშირებით, სეოკ-ის სესიაზე, ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა, **ემზარ ზენაიშვილმა** ისაუბრა. მისი თქმით, ქვეყნის 2000-მდე სკოლაში არაა ან სიმბოლურადაა წარმოდგენილი სპორტული ბაზები, ინვენტარი, ხოლო სპორტში ბავშვთა მხოლოდ 8-10 პროცენტია ჩართული, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია. მისივე თქმით, ბავშვთა სპორტში არსებული სერიოზული პრობლემები პირდაპირ კავშირშია სტუდენტურ სპორტში შექმნილ კატასტროფულ მდგომარეობასთან. მან მაგალითად, 4 წლის წინ, ყაზანში გამართული მსოფლიო უნივერსიადა მოიყვანა, სადაც საქართველოდან 100-მდე სპორტსმენი გამოვიდა, რომლებმაც გაიარეს სრულყოფილი საწვრთნელ-მოსამზადებელი პროცესი, ტურნირებშიც გამოვიდნენ, შეკრებებიც ჰქონდათ, ეკიპირება შეუძინეს და მაქსიმალურად შეუწყვეს ხელი, მაგრამ მხოლოდ ერთი მედალი მოიპოვეს – ბრინჯაო და ისიც უნივერსიადის ბოლო დღეს გაინაღდეს მოჭადრაკეებმა. მას შემდეგ ორ უნივერსიადაზე ჩვენები საერთოდ არ გამოსულან. ზენაიშვილისავე ინფორმაციით, ქვეყნის სკოლების მასშტაბით, ყოველწლიურად, ტარდება 2000-მდე სპორტული ღონისძიება, თუმცა არც ერთი არაა სისტემური, მრავალსაფეხურიანი და რეგიონული მნიშვნელობის, ახლა კი ორგანიზატორებს მისი რეგიონულ თამაშებად ქცევა სურთ.

მოლოდინისამებრ, ამ იდეამ სესიის მონაწილეთა დიდი ინტერესიც გამოიწვია და სპორტის ბევრი სახეობის წარმომადგენელმა მყისვე გამოთქვა ფესტივალის პროგრამაში ჩართვის სურვილი, თუმცა სახეობები, საბოლოოდ, მოგვიანებით დაზუსტდება. ზენაიშვილი თურმე ამგვარ წამოწყებას ბალტიისპირეთში გაცნობია, სადაც მასპინძლებს ისიც უთქვამთ, ჩვენ ამ გზით წამოვწიეთ სპორტი სოფლებში და, ზოგადად, რეგიონებშიო.

პირველი ფესტივალის ფინალური ტურნირი თბილისში უნდა გაიმართოს და უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება დედაქალაქის შესაბამის სამსახურებთან, რათა დაეხმარონ ფესტივალის ორგანიზებაში. ჯერჯერობით გაურკვეველია დამფინანსებლის საკითხი, მაგრამ სეოკ-ის მიერ შესაბამის სამინისტროებთან, ხელისუფლებასთან მიღწეულია პრინციპული შეთანხმება თანამშრომლობისა და ფესტივალის ჩატარების შესახებ.

მოამზადა ირაკლი თავაძემ

სამაგიდე თამაშების მრავალფეროვანი პაკეტები I–VI კლასებისათვის

წესებიანი, სამაგიდე თამაშების მთავარი ამოცანაა: შეუქმნას ბავშვს პოზიტიური განწყობა სწავლისადმი, ხელი შეუწყოს მოსწავლეების სოციალური და საზოგადოებრივ უნარების განვითარებას. ამ თამაშების დროს თამაშში ჩართულ მოსწავლეებს უწევთ: ანალიზი, მსჯელობა, კატეგორიზაცია/დახარისხება, დაგეგმვა/ორგანიზება, გადაწყვეტა, შედარება, შეფასება/კრიტიკა, რეფლექსია, შექმნა, გამოგონება, აღმოჩენა, თანამშრომლობა, წარმოდგენა/ვარაუდი, წინასწარი შეფასება/წინასწარმეტყველება, წარდგენა/პრეზენტაცია, გამოყენება, გაკეთება, პრაქტიკაში გადმოტანა, განხორციელება. თამაშები ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამების და გამჭოლი კომპეტენციების შესაბამისად არის შექმნილი.

რომელი საათია – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
მხიარული ფრაგმენტების ლოგიკა – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
ჩრდილები – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
მოხატული ცხოველების ამბები – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
სხვადასხვა სიტუაციები – 8 ლარი
(ჯგუფური თამაში);
შეგრძნებები – 8 ლარი;
მხიარული სინსარტყელა – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
მხიარული წილადები – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
დავეხმაროთ რიცხვებს – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
ვითვლი: 10-მდე, 20-მდე, 100-მდე – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
გავუმასპინძლდეთ სტუმრებს – 23 ლარი
(ჯგუფური თამაში, გათვლილია მთელ კლასზე);
ფერადი მოზაიკა – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში).

სასწავლო პროექტები
წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და განერილია რეკომენდაციები, რომელ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საბანში.

ქართული I-VI კლასები
წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩააბარონ საგნობრივი გამოცდა.

პროფესიული უნარები
დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის



მასწავლებლის სამუშაო რვეული



4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40 ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი 17.70 ლ

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



10 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია

ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი
(სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

ქართული ენის გრამატიკა
მორფოლოგია
(სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის

10 ლარი

ბიოლოგია (II ნაწილი)
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი

9 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია

ტირაჟი დროებით ამოწურულია

განახლებული გამოცემა

წიგნი I
V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
ISSN 2233-386X
9 772233 386008 >